სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 27 დეკემბერი 2006 №300 (2922) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОЮЗ НЕ ХОЧЕТ ГРУЗИЮ

რუსები ქართველებს თითებზე ითვლიან

მოსკოვიდან ბოლნისში ფაქსი ჩავიდა.

რუსულ უსტარებს, როგორც წესი, ჩვენთვის სახეირო ამბები არასდროს მოაქვთ და, რა უნდა მომხდარიყო, ამჯერზე მოეწერათ სასიკეთო რამ.

მოსკოვიდან ბოლნისში შეურაცხმყოფელი ფაქსი ჩავიდა.

ესენგეს ტურნირის ორგანიზატორები იწერებიან, რომ საქართველოს ჩემპიონს მხოლოდ 20 ფეხბურთელის და დელეგაციის 5 წევრის წაყვანის უფლება აქვთ.

ფეხბურთელების გარდა ხუთი ადამიანი: ნებისმიერ სოლიდურ კლუბს, არათუ უცხოურ ტურნირზე, პლეხანოვიდან ვორონცოვზეც რომ მიდიოდეს, სულ მცირე, ორი ამდენი კაცი უნდა მიჰყებოდეს. გნებავთ, დავითვალოთ: მთავარი მწვრთნელი, მეორე მწვრთნელი, ფიზმომზადების და მეკარეთა მწვრთნელები, ექიმი, მასაჟისტი, ადმინისტრატორი, პრესატაშე და ორი პირი მაინც ხელმძღვანელობიდან. რუსების ფაქსში კი, ხატოვნად რომ ვთქვათ, წერია, ან მწვრთნელი წამოიყვანეთ, ან ექიმი, ორივე ერთად არ გამოდისო.

და ვინც იტყვის, რომ ეს შეურაცხყოფა არ არის, მის სინდისზე იყოს.

ტურნირის ორგანიზატორებმა, როგორც ეს კარგ ორგანიზატორებს შეჰფერით, არც ქართველი ჟურნალისტები დაგვივიწყეს და– ესენგეს ტურნირი ჩაგვიკეტეს. რაც გინდათ, ის ჰქენით და იფიქრეთ, ოღონდ ჩვენი ვიზების იმედი არ გქონდეთ — ეს არის რუსების პასუხი.

ვერ დავიჯერებთ, მაგრამ რატომ გვგონია, რომ ესენგეს ტურნირის მონაწილე არც ერთი სხვა კლუბის ოფისში მსგავსი შინაარსის ფაქსი არ მივიდოდა.

მაურინიუმ ევრო-მსოფლიო გადაახარისხა იგულისხმა თუ არა საქართველო?

აჰა, პირდაპირ არ ვუხსენებივართ, მაგრამ მინიშნებით კიდევ ერთხელ გვითხრეს, რომ დიდ სანაკრებო ფეხბურთში არაფერი გვესაქმება.

იდეა, რომლის თანახმადაც, ძლიერი ნაკრებები ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შესარჩევ ეტაპებზე ცალკე უნდა თამაშობდნენ, სუსტები კი შესარჩევის შესარჩევ ეტაპზე გამოდიოდნენ, ახალი არ არის და მისი ავტორი ფრანც ბეკენბაუერია. თუ გახსოვთ, კაიზერ ფრანცმა ამ რამდენიმე წლის წინ თქვა, მოლდოვას და საქართველოს ნაკრებთა დარ გუნდებს ბუნდესნაკრებთან რა ესაქმებათ, ერთმანეთში ითამაშონო.

ახლა კი ივივე „ჩელსის“ მწვრთნელმა ჟოზე მაურინიუმ გაიმეორა, ოღონდ მოლდოვას და საქართველოს ნაცვლად სან მარინო და ანდორა ახსენა.

„ინგლისი — ანდორა ან პორტუგალია — სან მარინო უაზრო თამაშებია, სამაგიეროდ, ტრავმირების რისკია ძალიან მაღალი. სუსტი გუნდების ფეხბურთელებს ასეთ თამაშებში ისღა დარჩენიათ, რომ გამუდმებით იუხეშონ, რის შედეგადაც საუკეთესო ფეხბურთელები იმტვრევიან“ — თქვა პორტუგალიელმა.

ანდორისა რა გითხრათ, მაგრამ ინგლისმა მაკედონიას ბოლოს როდის მოუგო, მაურინიუს ამაზე არაფერი უთქვამს და, არც იმაზე, გერმანია და იტალია კვიპროსს და ლიტვას რომ ველარ ამარცხებენ.

50 აბა, ამბავი და, აბა, ხაბარი შოთა ხაბარელისა

ბაბაჩის ჯეიმსონის ფოტო

ასათიანი ბიშოვეცს ჩააბარეს, ლოკომოტივი კი — სიომინს



მოსკოვის „ლოკომოტივში“, სადაც, მოგეხსენებათ, ორი ჩვენიანი — მალხაზ ასათიანი და გიორგი ჭელიძე თამაშობენ, მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილებები მოხდა. გუშინ კლუბის სამეთვალყურეო საბჭო შეიკრიბა და... თანამდებობიდან გაათავისუფლეს „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი ვალერი ფილატოვი და ახლახან დანიშნული მწვრთნელი ოლეგ დოლმატოვი. პრეზიდენტად გუნდის ყოფილი მწვრთნელი იური სიომინი აირჩიეს, ხოლო დოლმატოვის პოსტი სახელოვან უკრაინელ სპეციალისტ ანატოლი ბიშოვეცს ჩააბარეს. ვერ ვიტყვით, რომ ამ ცვლილებებით ქართველთა საფეხბურთო ცხოვრება შეიცვლება, თუმცა კი, თავისთავად, ხელმძღვანელობაში სიახლეებს გუნდშიც მოჰყვება ხოლმე ახალ-ახალი ამბები. ჩვენც, სწორედ ამ ცვლილებების შემდეგ დავუკავშირდით მალხაზ ასათიანს, ვინც ამჟამად ქუთაისშია, ინდივიდუალური პროგრამით მსუბუქად ვარჯიშობს და მოსკოვში 3 იანვარს უნდა ჩავიდეს.

ისე, გეტყვით, რომ სამი წლის წინ ანატოლი ბიშოვეცის საქართველოს ნაკრების მწვრთნელის დანიშვნა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო, ფეხბურთის ფედერაციას მწვრთნელთან კონტრაქტიც გამზადებული ჰქონდა, მაგრამ ბოლო მომენტში, მიზეზთა გამო, ბიშოვეცის ნაცვლად ნაკრები ალენ ჟირესს ჩააბარეს. ხოლო იური სიომინი, მოკლედ რომ ვთქვათ, ქართველებისადმი კეთილგანწყობილი კაცია და საქართველოში ბევრი მეგობარიც ჰყავს...

მალხაზ ასათიანმა კი ეს გვითხრა:

— კლუბის ხელმძღვანელობაში გარკვეული ცვლილებები მოსალოდნელი კი იყო, მაგრამ არ მეგონა, თუ პრეზიდენტსაც გაათავისუფლებდნენ და ამ თანამდებობას იური სიომინს ანდობდნენ. ვფიქრობდი, რომ სიომინს მწვრთნელად დანიშნავდნენ. როგორც ვიცი, ამას ელოდა მთლიანად გუნდიც, მაგრამ რაკი ასე მოხდა, ესე იგი, ასე იყო საჭირო.

— ანატოლი ბიშოვეცის მწვრთნელობაზე ლაპარაკი არ ყოფილა?

— რა ხანია, გუნდთან ერთად არ ვარ და „ლოკომოტივში“ აქამდე რა ხდებოდა, რას ლაპარაკობდნენ, დეტალურად არ ვიცი. ამას წინათ გავიგე ჟურნალისტებით, რომ „ლოკომოტივის“ მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი ბიშოვეციც იყო.

— იცნობ მას?

— პირადად არ ვიცნობ. ვიცი, რომ მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ოლიმპიადა მოიგო, ავტორიტეტული სპეციალისტია და ბოლოს „ტომის“ თავკაცი იყო.

— ბოლო ხანს ბევრს ლაპარაკობენ შენს შესაძლო ტრანსფერზე. როგორ ფიქრობ, „ლოკომოტივის“ ხელმძღვანელობაში მომხდარ ცვლილებებს რაიმე გავლენა ექნება შენს მომავალზე?

— არ ვიცი... „ლოკომოტივიდან“ სხვა გუნდში გადასვლის თაობაზე მხოლოდ ჟურნალისტებისგან და მეგობრებისგან მესმის. კონკრეტული კი ჩემთვის არავის არაფერი უთქვამს. ამიტომაც, ვერ გეტყვით, როგორი გავლენა შეიძლება ჰქონდეს სიომინის პრეზიდენტობას და ბიშოვეცის მწვრთნელობას ჩემს მომავალზე. „ლოკომოტივი“ 10 იანვარს იკრიბება და მაშინ უფრო ბევრი მეცოდინება.

— 10 იანვარს გუნდთან ერთად ვარჯიშსაც შეძლებ?

— ინდივიდუალურად ახლაც ვვარჯიშობ, მაგრამ გუნდთან ერთად ჯერ ადრეა. 12 იანვარს ისევ გერმანიაში უნდა დავბრუნდე, სარეაბილიტაციო კურსის ბოლო ეტაპს გავივლი და მერე ალბათ მთელი დატვირთვით ვარჯიშსაც შევუდგები. იმედი მაქვს, რუსეთის ჩემპიონატის ახალ სეზონს სათანადოდ მომზადებული შევხვდები.

კოგა ინასარიძე

29-ის მომლოდინე ჩიხურა 30-ში იწყებს

თითქმის ყველა გუნდი შეუდგა მეორე წრისთვის მზადებას, საჩხერის „ჩიხურა“ კი ჯერჯერობით არ ვარჯიშობს — ზემოიმერლები 29 დეკემბერს ფინანსური საკითხების საბოლოოდ მოგვარებას ელიან და მეორე დღესვე შეიკრიბებიან.

„მიხეილ მესხი და გიორგი მანწკავა რომ წავიდნენ, ყველამ იცის. სხვა ცვლილება ჯერჯერობით არ მომხდარა. ჩვენ ფინანსური საკითხის მოგვარებას ველოდით, რომელიც თითქმის ასი პროცენტითაა გადაწყვეტილი. გუნდის ხელმძღვანელობა 30 დეკემბერს შეიკრიბება და საბოლოოდ გადაწყვეტს, რა დონის გუნდია საჭირო საჩხერეში“ — გვითხრა „ჩიხურას“ მთავარმა მწვრთნელმა ხვიჩა ქასრაშვილმა.

სტადიონის რეკონსტრუქციის გამო „ჩიხურა“ საშინაო თამაშების ჩატარებას თბილისში გეგმავს და მის „შინაურ“ სტადიონად, სავარაუდოდ, „ნორჩი დინამოელი“ იქნება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბენდელას თასი

მეოთხედფინალი

6. დინამოელი 0:3 რუბიკონი
ნემსაძე, არზიანი, კუსრაშვილი

გაგრა 1:5 ლუკა
აბაშიძე; დვალიშვილი (2), ოდიკაძე, ბურდული, ჯამარაული

საბურთალო 1:2 ომც
გუნია; ლევან ჩხაიძე, რუსიძე

აფხაზეთი 3:1 დინამო 2
დარასელია (2), ბობოხიძე; ქანთარია

ნახევარფინალი. დღეს

რუბიკონი — ომც

ლუკა — აფხაზეთი

ბავშვთა ტურნირი

მეოთხედფინალი

ნორჩი სიონი 2:2 (4:2პ) თერჯოლა

35-ე სკოლა-2 1:1 (4:2პ) გურია

35-ე სკოლა-1 5:1 ბათუმი

საბურთალო 1:2 ლოკომოტივი

ნახევარფინალი. დღეს

ნორჩი სიონი — 35-ე სკოლა-1

35-ე სკოლა-2 — ლოკომოტივი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ინგლისი

პრემიერლიგა. XX ტური

ჩელსი 22 რენჯერსი

ტოტენჰემი 2:1 ასტონ ვილა

ვესტ ჰემი 1:2 პორტსმუთი

ბლეკბერნი 1:0 ლივერპული

ბოლტონი 2:1 ნიუკასლი

ევერტონი 0:0 მიდლსბრო

მანჩესტერი 3:1 უიგანი

შეფილდი 0:1 მანჩესტერ სიტი

უოტფორდი 1:2 არსენალი

ჩემპიონატი. XXV ტური

საუთჰემპტონი 1:1 კრ. პალასი

კარდიფი 2:2 პლიმუთი

ბარნსლი 1:0 ბარნლი

ბირმინგემი 2:1 ძუინზ პარკი

კოლჩესტერი 4:1 ლუთონი

ქოვენთრი 1:2 იფსვიჩი

დერბი 0:2 ვულვზი

ჰალი 1:2 ლესტერი

ნორვიჩი 0:0 საუთენდი

სტოკი 1:2 უენსდი

სანდერლენდი 2:0 ლიდსი

ვესტ ბრომვიჩი 4:2 პრესტონი

I ლიგა. XXIV ტური

ბრენტფორდი 1:4 მილუოლი

ბლეკპული 2:1 კარლაილი

ბრედფორდი 0:1 დონკასტერი

ბრაიტონი 1:3 იოვილი

ბრისტოლი 2:2 ბორნმუთი

ძრიუ 1:3 სუონსი

ჯილინგემი 2:1 ლეიტონი

ჰადერსფილდი 2:2 ტრანმერი

ნორთჰემპტონი 2:0 ჩელტენემი

ნოტინგემი 3:0 პორტ ვეილი

როტერჰემი 2:3 ოლდემი

სკანთორპი 1:0 ჩესტერფილდი

II ლიგა. XXIV ტური

როჩდეილი 2:2 რეძსემი

ჰერეფორდი 0:0 როვერსი

ბარნეტი 1:0 პიტერბრო

აკრინგტონი 1:1 ბერი

ჩესტერი 0:3 მაკლსფილდი

დარლინგტონი 0:2 მენსფილდი

ჰარტლპული 2:0 გრიმსბი

ლინკოლნი 2:1 ბოსტონი

სტოკპორტი 2:0 ნოტსი

სუინდონი 2:1 უიკომბი

ტორკი 0:2 დონსი

უოლსოლი 1:0 შრიუსბერი

კონფერენსლიგა. XXIII ტური

ტემუორთი 0:1 ბარტონი

გრეივსენდი 1:0 ძროული

სენტ ალბანსი 2:3 სტივენეიჯი

ვეიმუთი 2:1 ექსეტერი

ალდერშოტი 2:1 ფორესტ გრინი

ალტრინჩემი 3:0 ნორსვიჩი

კემბრიჯი 0:1 რაშდენი

დაგენემი 0:0 გრეისი

ოძსფორდი 0:0 უოძინგი

სოთპორტი 1:2 მორეკემბი

სტაფორდი 1:2 კიდერმინსტერი

შოტლანდია

პრემიერლიგა. XXI ტური

ჰარტსი 3:2 ჰიბერნიანი

აბერდინი 3:1 კილმარნოკი

სელტიკი 2:2 დანდი იუნ.

დანფერმლაინი 0:2 მოზერუელი

სენტ მირენი 1:0 ფოლკირკი

I დივიზიონი. XIX ტური

სენტ ჯონსტონი 2:1 კლაიდი

ერდრი 0:1 როსი

დანდი 3:1 პარტიკი

ჰოლანდია

ერედივიზიონი. XIX ტური

ფეიენოორდი 1:1 პსვ

ტილბურგი 2:1 ექსელსიორი

გრონინგენი 0:1 სპარტა

ამხანაგური მატჩები

ყაზახეთი 1:2 ვიეტნამი

ტაილანდი 2:0 სინგაპური

ტორპედოში 108 წელი მივიდა

ქუთაისში ქართულ ფოლკლორს აფასებენ: ბებერი ხარისა...

სანამ ქუთაისის „ტორპედოს“ მეპატრონის ვინაობა ოფიციალურად გაცხადდებოდეს, რიონისპირელებმა სამედიცინო შემოწმება გაიარეს და სწორედ ამ პროცესის გაკლისას გუნდში რამდენიმე ახალი, უფრო სწორად, ძველი სახე გამოჩნდა — „ტორპედოში“ დავით ჯანაშია, კახა კვეტენაძე და გელა ფანჩულიძე ვარჯიშობენ.

ჯანაშიას და კვეტენაძეს ქუთაისელ გულშემატკივრებთან წარდგენა არ სჭირდებათ — მათ „ტორპედოში“ ბევრი წელი გაუტარებიათ და იმერულ კლუბთან ერთად საქართველოს ჩემპიონობაც მოუპოვებიათ.

ქართული ფეხბურთისთვის უცხო არც ფანჩულიძეა — მას სხვადასხვა დროს თერჯოლის „საპოვნელაში“, „სამტრედიაში“, ტყიბულის „მეშახტეში“, ფოთის „კოლხეთში“ და ბოლნისის „სიონში“ უთამაშია.

თქმა არ უნდა, ეროვნულ ჩემპიონატისთვის სამივე ფეხბურთელი გამოცდილია, თუმც ალბათ მათი ასაკებიც საინტერესო უნდა იყოს თქვენთვის: ჯანაშია — 34 წლის, კვეტენაძე — 36-ის, ფანჩულიძე — 38-ის...

„ტორპედოსთან“ კონტრაქტების გაფორმების შემთხვევაში ეს ფეხბურთელები 30 წლის გიორგი კიკნაძის შეგირდები იქნებიან.

მიხეილ ჟორჟოლიანი

გიორგი კიკნაძე

გელა ფანჩულიძე

კახა კვეტენაძე

დავით ჯანაშია

ვარშალომიძესთან შეხვედრის შედეგები

ბათუმი უმაღლესში გარეუბნებით წარდგება

ამირან გოგიტიძის გუნდი დინამოს ორ ფეხბურთელს ელაპარაკება

ლევან ვარშალომიძემ „ბათუმს“ დახმარების ხელი გაუწოდა

თუ ფოთის „კოლხეთს“ საამსეზონოდ პატრონი და ფული არ გამოუჩნდა, ზღვისპირეთის მეორე გუნდი უმაღლეს ლიგას შერჩა და არც სეზონის მეორე ეტაპზე ემუქრება საფრთხე — აჭარის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი ალექსანდრე ახვლედიანი აჭარის მთავრობის მეთაურ ლევან ვარშალომიძეს შეხვდა და დადებითი პასუხიც მიიღო — „ბათუმს“ მეორე წრეშიც ბათუმის ნავთობტერმინალი დაასპონსორებს.

ადრეც გაუწყეთ, რომ ბათუმის ოდინდელი სტადიონი „დინამო“ დაანგრიეს და იქ მშენებლობა გაჩაღდება, რის გამოც გასარკვევი იყო, სად ითამაშებდა „ბათუმი“. ლობჟანიძე-ახვლედიანის შეხვედრაზე წერტილი დაესვა იმას, რომ „ბათუმი“ ქალაქის გარეუბანში, ადელში ითამაშებს, ხოლო წვრთნას ასევე ბათუმის გარეუბანში, ანგისაში გამართავს.

„ბათუმისთვის“ აჭარის მთავრობას ის პირობაც მიუცია, რომ ქობულეთის სტადიონზე რემონტი დაიწყება, თუმც ქობულეთის სტადიონი ეროვნულ ჩემპიონატის მეორე წრის დასაწყისისთვის მზად ვერ იქნება.

სამეორეწრეოდ „ბათუმი“ მეტწილად ადგილობრივი კადრებით დაკომპლექტდება, თუმც აჭარელები ფეხბურთელების მიწვევასაც აპირებენ — „ბათუმი“ მოლაპარაკებას აწარმოებს თბილისის „დინამოსთან“, რათა „დინამოს“ მეორე გუნდის ორი ფეხბურთელი იჯარით წაიყვანოს — მცველი ბარამიძე და ფორვარდი კერესელიძე.

სეზონის პირველ ეტაპზე „ბათუმში“ თბილისის „დინამოდან“ განათხოვრებული მცველი უჩა ლობჟანიძე თამაშობდა. მან რიგიანად ჩაატარა მატჩები და ახლა ისევ „დინამოში“ უხმეს. თუმც ლობჟანიძე ჯერ დუშან უჰრინმა უნდა გამოსცადოს და დაადგინოს, იქნება თუ არა იგი გუნდის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი. „ბათუმი“ კი იმედოვნებს, რომ ლობჟანიძე ისევ მათ დაუბრუნდება, რამეთუ ასეთ შემთხვევაში მოთამაშეს თითქმის ასი პროცენტიც განაღდებული ექნება უწყვეტი სათამაშო პრაქტიკა.

„ბათუმს“ უკვე ჰყავს ერთი ახალწვეული — 22 წლის შემტევი კობა შალამბერიძე ბათუმელებმა აგარის „მეშაქრედან“ წაიყვანეს.

გუნდი ჯერჯერობით მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა დატოვა — ამირან მუჯირმა და ალეკო კოშკაძემ. შევიტყვეთ, რომ „ბათუმი“ კიდევ 3-4 ფეხბურთელს შეელევა.

ამირან გოგიტიძის გუნდი 5 იანვარს შეიკრიბება და სეზონის განახლებისთვის მშობლიურ აჭარაში მოემზადება.

დავით თავართქილაძე

შეკრება შემკრებლამდე

აეროპორტი — დიღომი: დინამო ევროორეისებს ელის

ბაადრი კვირკელიანის ფოტო

დავით დიღმელაშვილმა (შუაში) „დინამოსთან“ ერთად პირველად ივარჯიშა

გუშინ თბილისის „დინამომ“ ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადება დაიწყო. გუნდი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე ნაშუადღევს შეიკრიბა და დუშან უჰრინის თანაშემწეების ხელმძღვანელობით მსუბუქად ივარჯიშა. მწვრთნელი კი ჩეხეთიდან თბილისში წუხელ ჩამოვიდა და დღეიდან უკვე სავარჯიშო პროცესს თავად გაუძღვება.

ახალ წლამდე „დინამო“ დიღომში იქნება, შემდეგ ორი დღით დაისვენებს და 2 იანვარს ბაკურიანს მიაშურებს, სადაც 6-მდე დარჩება. 10 იანვრიდან კი პირველი ანთალიური შეკრება დაიწყება.

გუშინვე „დინამოსთან“ ერთად პირველად ივარჯიშა დავით დიღმელაშვილმა, ვინც, მოგეხსენებათ, კლუბმა რამდენიმე დღის წინ „ვიტ ჯორჯიადან“ გადაიბირა. დიღმელაშვილი ჯერჯერობით „დინამოსთვის“ ერთადერთი ახალი ფეხბურთელია, თუმც უჰრინის სამწყსოს დღეს-ხვალ მეორეც შეემატება — 35 წლის ავსტრალიელი ნედ ზელიჩი. ოღონდ ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი, მას კონტრაქტს გაუფორმებენ თუ არა. ეს საკითხი, სავარაუდოდ, ანთალიური შეკრების შემდეგ გაირკვევა.

მოსალოდნელია, რომ თურქეთში „დინამოს“ კიდევ რამდენიმე უცხოელიც დაემატოს.

პირველი წრის დინამოელებიდან კი გუშინდელ ვარჯიშზე არ ყოფილან მიხეილ ბობოხიძე, ლადო ახალაია, კახა მახარაძე, შოთა ბაბუნაშვილი და შოთა გრიგალაშვილი — ესენი კლუბმა ტრანსფერზე დაყენა და მალე, ალბათ, თამაშს სხვა გუნდებში გააგრძელებენ.

მოკლედ, საგაზაფხულო ბრძოლებისთვის მზადება „დინამომაც“ დაიწყო და ვნახოთ, როგორ გუნდს გაკეთებს დუშან უჰრინი. მისთვის ხომ ეს მოსამზადებელი პერიოდი „დინამოსთან“ ერთად პირველი იქნება...

კოგა ინასარიძე

ენსხედელები ჩვენებურს დაელაპარაკნენ

ტვენტე და გახოკიძე ალბათ დასრულდება

29 წლის გოგა გახოკიძეს, ვისაც საქართველოს ეროვნულ გუნდში 19 მატჩი უთამაშია და სამი გოლი გაუტანია, დაახლოებით ორი წელია, ქრონიკულად სტანჯავს ტრავმა — კუნთები ისე ეჭიმება, რომ ბოლო ერთი წელი, ფაქტობრივად, არ უთამაშია. ამასთან დაკავშირებით გახოკიძეს ენსხედეს „ტვენტეს“ მთავარი მწვრთნელი და პრეზიდენტი ესაუბრნენ.

— ამ დღეებში კლუბის ხელმძღვანელობასთან ვისაუბრე. „ტვენტესთან“ კონტრაქტი 2007 წლის მაისში მიმთავრდება და კლუბმა მითხრა, რამდენიმე დღეში გეტყვით, ხელშეკრულების გახანგრძლივებას შემოგთავაზებთ თუ არაო. ამ დროისთვის ტრავმა არ მაწუხებს, თუმც სრული დატვირთვით ჯერაც ვერ ვვარჯიშობ. უკვე რამდენჯერმე განმეორდა — გამოვკეთდები და მერე ისევ შემაწუხებს ტრავმა. ჰოდა, მაინცდამაინც აღარც მინდა „ტვენტესთან“ კონტრაქტის გაგრძელება, რადგან არ ვიცი, როგორ ვიქნები. თუ გამოვკეთდი, ახალ კლუბთან ხელშეკრულებას მაქსიმუმ ერთი წლით გავაფორმებ — გვითხრა გუშინ გახოკიძემ.

დავით თავართქილაძე

მილიონნახევარი?

გიგიაძეს ზღვაზე ეპატიჟებიან

უკრაინის ჩემპიონატში შესვენებაა და ამ უქმობაში განსაკუთრებით საყურადღებოა „კრივბასის“ ამბები — კრივიოროგელები ფინანსური პრობლემების გამო ლიდერების გაყიდვაზე ფიქრობენ და მათ შორისაა გუნდის სული და გული ვასილ გიგიაძეც.

და აი, მორიგი სიახლეც: ქართველი ფეხბურთელით ოდესის „ჩერნომორეცი“ დაინტერესდა. მართალია, ზღვისპირული კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ოლეგ მარუსი ამ ფაქტს არ ადასტურებს, მაგრამ უკრაინული პრესა ვარაუდობს, რომ ეს ტრანსფერი დროის ამბავია.

გიგიაძის მსურველთა რიგში ისევ დგანან დნეპროპეტროვსკის „დნიპრო“, სიმფეროპოლის „ტავრია“, მარიუპოლის „ილიჩევეცი“, დონეცკის „მეტალურგი“ და ხარკოვის „მეტალისტი“.

უკრაინელი ჟურნალისტების აზრით, გიგიაძის სატრანსფერო ფასი ამ ეტაპზე მილიონნახევარი დოლარია. იმის მიუხედავად, რომ ნახევარი წლის შემდეგ ქართველი ფეხბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება და მისი გადაბირება უფასოდ შეეძლებათ, უკრაინული გუნდების უმეტესობა მაინც ცდილობს საქმის ახლავე მოგვარებას.

— „ჩერნომორეცის“ ჩემით დაინტერესება თანაგუნდელებმა შემატყობინეს, თუმცა ყველაფერი მაშინ გადაწყდება, როცა გუნდს ჩავაკითხავ. კრივოი როგში დარჩენის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ თუ კლუბი ჩემ გაყიდვას მოინდომებს, მირჩევნია, უკრაინაშივე დავრჩე“ — განუცხადა გაზეთ „კომანდას“ გიგიაძემ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ვასილ გიგიაძე: უკრაინელი მეკარეების რისხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადივოსტოკის „ლუჩ-ენერგია“ პრემიერლიგის დასრულების შემდეგ პირველად შეიკრიბა, **გიორგი ლომაია** კი თბილისშია და „ბენდელას“ თასზე თამაშობს. საქართველოს ნაკრების მეკარეს რუსული კარიერა ვერა და ვერ აეწყო, ვერც „სპარტაკში“ გაშალა ფრთები, ვერც „ხიმკიში“ და ვერც „ლუჩ-ენერგიაში“, თუმცა ჩრდილოეთში გატარებულ წლებს ნაყოფიერად მიიჩნევს. გიორგის თავდაპირველად მის უახლოეს გეგმებზე ვესაუბრეთ...

სად გაფრინდება ლომაია?

საქართველოში ჯოხი მარტო მეკარეზე ტყდება

— ვლადივოსტოკში იჯარით ვიყავი და კონტრაქტი დამიმთავრდა. „ლუჩ-ენერგია“ შეკრებაზე 4 იანვარს მიდის, მაგრამ არ ვიცი, მეც შევუერთდები თუ არა.

— შენ ხომ „ხიმკის“ ყოფილ პრეზიდენტ ანდრეი ჩერვიჩენკოსთან გაქვს პირადი კონტრაქტი?

— ასეა. კიდევ ერთი წელი დამრჩა კონტრაქტი. ჩერვიჩენკოს თავადვე უნდა აწყობდეს ჩემი გაყიდვა, თორემ ერთ წელიწადში თავისუფალი აგენტი გავხდები და ფულს ვეღარ აიღებს.

— რომელი გუნდებისგან გაქვს წინადადება?

— არ ვიცი, ჯერ რეალური არაფერია. ამ საკითხზე ჩერვიჩენკოს შეეხმიანებიან და ის თავად დამიკავშირდება. აგენტები მუშაობენ და ვნახოთ...

— „ლუჩ-ენერგიას“ არ სურს შენი ტრანსფერის გამოსყიდვა?

— იყო ამაზე ლაპარაკი. წესით, მსურველ კლუბს ჩემი შეძენა არ უნდა გაუჭირდეს, რადგან არა მგონია, ჩერვიჩენკო ძვირად მაფასებდეს.

— თავად თუ გინდა ვლადივოსტოკში დარჩენა?

— გააჩნია, რამდენწლიან კონტრაქტს შემომთავაზებენ და რა პირობებით. ერთი კია, ახლახან ჩეხეთის ნაკრების მეკარე შეიძინეს...

— ძირითად შემადგენლობაში ჩეხი მეკარის გადმოსვლამდეც არცთუ ხშირად თამაშობდი. ამას რას დააბრალებდი?

— „ლუჩ-ენერგია“ პრემიერლიგაში რა გუნდითაც გადმოვიდა, იმ შემადგენლობის შეცვლა, ეტყობა, არ უნდოდათ. თანაც, მე შეკრების გაუვლელად ჩავირიცხე გუნდში.

— მთლიანობაში, რუსულ პრემიერლიგაში კარიერა ვერ აიწყე...

— ფეხბურთში ჯანმრთელობის გარდა, გამართლებაზეც ბევრია დამოკიდებული. მე კი არ მიმართლებდა. თუმცა, რაც თბილისის „ლოკომოტივიდან“ წავედი, ჩემს თავს პროგრესს ვატყობ, რუსეთში უფრო გავიზარდე.

— ეს გასაგებია — რუსეთში სამეკარეო სკოლა ყოველთვის მაღალ დონეზე იყო...

— არა მარტო სამეკარეო, მთლიანად მიდგომაა სხვანაირი, გინდ ვარჯიშები აიღე, გინდ პროფესიონალიზმი, გინდ ნებისმიერი წვრილმანი... აქ ალმაცერად რომ უყურებენ რუსეთის პირველ დივიზიონს, აბა, ჩავიდნენ და ნახონ, როგორი სათამაშოა. იქაური პირველი დივიზიონიც კი აშკარად სჯობია საქართველოს უმაღლეს ლიგას.

— ქართულ კლუბში გადასვლას გამორიცხავ?

— არ გამოვრიცხავ, მაგრამ თუ უცხოური ვარიანტი იქნება, აქ ჩამოსვლაზე უარს ვიტყვი. ამ სიტყვებს რომ ვამბობ, საქართველოს ჩემპიონატს კი არ ვაკნინებ, რეალობას ვამბობ — როგორც ყველამ, მეც აქ დავიწყე კარიერა...

— „ლუჩ-ენერგია“ ფინანსურად ძლიერი კლუბია?

— ნორმალურ დონეზეა. საერთოდ, ერთი-ორი კლუბის გარდა, რუსეთში ფინანსური პირობლემა არავის აწუხებს დგას, პირიქით, ხომ ხედავთ, როგორ ლეგიონერებს ყიდულობენ.

— შორეულ ვლადივოსტოკში აკლიმატიზაცია არ გიჭირდა?

— ეგეც იყო. ფრენით ვიღლებოდი. სამაგიეროდ, საშინაო მატჩებში სულ ფავორიტები ვიყავით — მხოლოდ ერთი თამაში წავაგეთ — რადგან სტუმარი გუნდი ვერ ეგუებოდა საათებში ამხელა განსხვავებას. თუმცა იგივე სიტუაცია იყო, როცა სტუმრად ვთამაშობდით, ჩვენც ძალიან გვიჭირდა.

— რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბული ურთიერთობა შენზეც ხომ არ ახდენდა გავლენას?

— პირიქით, „ლუჩ-ენერგია“ ძალიან მეგობრული გუნდია, პოლიტიკაზე საერთოდ არც ვლაპარაკობდით. ეგაა, სამუშაო ვიზა დამიმთავრდა და ახალ ვიზას ჯერ არ მაძლევენ, ამიტომაც ვარ აქ — აი, ამ მხრივ კი იქონია გავლენა პოლიტიკურმა ვითარებამ. რუსეთში რომ ვიყო, უფრო მეტი მეცოდინებოდა ჩემ მსურველ კლუბებზე...

— საქართველოს ნაკრებზეც გკითხავ. ბოლოს იტალიასთან 1:3 წაგებულ შეხვედრაში ითამაშე...

— პირველი გოლი ჩემი ბრალი იყო. სამწუხაროდ, საქართველოში ტრადიციად დამყარდა მეკარეზე ჯოხის გადატეხვა. წააგე? ესე იგი, მეკარის ბრალია — ასე არ უნდა იყოს. ოლივერ კანს ისეთი ბურთები გაუშვია, აქ რომ იგივე დაგემართოს, ალბათ, ფეხბურთელობას აგიკრძალავენ...

ილია ნანოგაშვილი

მოდულის თასი დინამოს

35-ე სკოლის მოედანზე დასრულდა კომპანია „მოდულის“ საშობაო ტურნირი 1993 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის.

გამარჯვებული გახდა თბილისის „დინამო“, რომელმაც ფინალში 6:1 დაამარცხა „საბურთალო“.

მესამე ადგილისთვის მატჩში კი „გაგრამ“ 2:1 სძლია „ოლიმპიკს“.

ტურნირის დასრულების შემდეგ ორგანიზატორებმა სხვადასხვა ნომინაციებში გამორჩეული ფეხბურთელები დააჯილდოვეს.

კახა ზალამბერიძე

გაინტერესებთ ყველაფერი ერნან კრესპოზე? გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც არგენტინელ ფორვარდს „ინტერის“ ოფიციალურმა არხმა, კერძოდ, პროგრამა „უნო დო ნოიმ“ ჩამოართვა

ძაღლი, კატა და პფაიფერი ერნან კრესპოს ცხოვრებაში

— ვისთან ერთად ცხოვრობთ?

— მეუღლესთან და ორ შვილთან ერთად.

— ამ პერიოდში რომელ წიგნს კითხულობთ?

— „და ვინჩის კოდს“ იტალიურად და „ბუკაის წიგნს“ ესპანურად.

— თქვენი საუკეთესო მოგზაურობა.

— იტალიაში ჩამოსვლა.

— თქვენი საყვარელი ფერი.

— ლურჯი.

— თქვენი საყვარელი სამაგიდო თამაში.

— ჭადრაკი.

— საყვარელი ჟურნალი?

— „ფოკუსი“.

— რომელი მულტფილმი გიყვართ ყველაზე მეტად?

— „ტომი და ჯერი“.

— რომელი სუნი გსიამოვნებთ განსაკუთრებით?

— ჩემი ცოლის სუნი.

— მარტომ პირველად სად იმოგზაურეთ?

— ბრაზილიაში.

— ყველაზე ცუდი გრძნობა, რომელიც გქონიათ.

— ძალიან ცუდად ვგრძნობდი თავს, როდესაც ტრავმა მქონდა რამდენიმე წლის წინ, მაშინაც, „ინტერში“ ვიყავი.

— ყველაზე ძვირფასი თქვენს ცხოვრებაში.

— ჩემი შვილები.

— როდესაც იღვიძებთ, პირველ რიგში, რაზე ფიქრობთ?

— იმაზე, რომ ბავშვები სკოლაში უნდა წავიყვანო და პატარას საჭმელი მოვუმზადო.

— მარტო ყოფნა გირჩევნიათ, თუ უსიამოვნო კამპანიაში?

— რა თქმა უნდა, მარტო.

— რამდენ ზარს აკეთებს ტელეფონი, სანამ უპასუხებთ?

— ტელეფონს მაშინვე ვპასუხობ, როგორც ზარის ხმას გავიგებ.

— თქვენი საყვარელი საჭმელი.

— შემწვარი ხორცი.

— ტკბილი თუ მწარე?

— ტკბილი.

— შოკოლადი თუ ვანილი?

— შოკოლადი.

— ძაღლი თუ კატა?

— ძაღლი.

— ნიუ იორკი თუ რომი?

— რომი ბრწყინვალეა.

— შობა თუ ახალი წელი?

— ორივე კარგია.

— „ბიტლზი“ თუ „როლინგ სტოუნზი“?

— „როლინგ სტოუნზი“.

— მიშელ პფაიფერი თუ ანჯელინა ჯოლი?

— მიშელ პფაიფერი.

— გიყვართ მანქანის სწრაფად მართვა?

— არა.

— ბავშვობაში თოჯინასთან ერთად დაგიძინიათ?

— არ მახსენდება.

— რომელი იყო თქვენი პირველი მანქანა?

— „ფიატ უნო“.

— თქვენი საყვარელი ალკოჰოლური სასმელი.

— ლუდი.

— ახლა რომ ირჩევდეთ, რომელ პროფესიას მიანიჭებდით უპირატესობას?

— ჩემი საქმე მომწონს, თუმცა ბავშვობაში ბულტრობაც მინდოდა.

— გყვარებიათ ვინმე ისე, რომ ახლაც ვერ ივიწყებთ?

— არა. ერთხელ შემიყვარდა ქალი და ის ცოლად შევირთე.

— როდის დალიეთ ალკოჰოლური სასმელი პირველად?

— სულ პირველად? არ მახსოვს...

— თქვენი ჭიქა ნახევრად სავსეა თუ ნახევრად ცარიელი?

— ნახევრად სავსე.

— საყვარელი ფილმი?

— რობერტო ბენინის „ცხოვრება მშვენიერია“.

— გაქვთ ოცნება, რომელიც არასდროს ახდება?

— ალბათ. მსოფლიოს ჩემპიონობა მინდა. თუმცა ოთხი წლის მერე იქნებ ამიხდეს კიდეც.

— იყენებთ კომპიუტერსა და ინტერნეტს?

— დიახ, „ნოუთბუქი“ მაქვს და ინტერნეტითაც ვსარგებლობ, მაგრამ ტექნიკასთან მაინცდამაინც არ ვმეგობრობ.

— თქვენი საყვარელი რიცხვი რომელია?

— ცხრა.

— ყველაზე მეტად რომელი სპორტული სახეობის თამაში მოგწონთ?

— ჩოგბურთისა და კალათბურთის. რა თქმა უნდა, ფეხბურთის გარდა.

— და ყველაზე მეტად რომელი სპორტული სახეობის ყურება გიყვართ?

— ფეხბურთის.

— არის რამე ისეთი ქალში, რასაც ვერ იტანთ?

— არა.

— და ხასიათებით?

— ვერ ვიტან ისტერიკებს.

— რა მოგწონთ ყველაზე მეტად ქალში?

— ღიმილი.

— და ზოგადად?

— მიყვარს, როცა ქალი ჭკვიანია.

— პირველად როდის იყავით ქალთან?

— თხუთმეტი წლის ასაკში.

— საიდუმლოს შენახვა შეგიძლიათ?

— თუ მეგობარი მეუბნება, რომ რაც მითხრა, არ გავამხილო, სამარესავით ვარ.

— ოცნება, რომელიც უკვე აგიხდათ და ჯერ არ აგხდენიათ.

— ოჯახის შექმნა მინდოდა და ეს ოცნება ამიხდა. მსოფლიოს ჩემპიონი კი ვერ გავხდი.

კინაღამ გაგიჟდა

„ბარსელონას“ არგენტინელმა ნახევარმცველმა ლეო მესიმ განაცხადა, რომ 2006 წელს ცხოვრებაში კარგიც ბევრი ნახა და ცუდიც. ახალ, 2007-ს კი პატაგონიელი უპირველეს ყოვლისა, ტრავმებისგან თავის დახსნას სთხოვს.

„2007 წელში ჯანმთრელად ყოფნა, ფეხბურთში სასწრაფოდ დაბრუნება და ტრავმების თავიდან აცილება მინდა. გავწვალდი ამდენი ტრავმებით... სხვას ახალ წელს არაფერს ვთხოვ“ — თქვა მესიმ.

როცა არგენტინელმა მიმავალი 2006 წელი გაიხსენა, აღნიშნა, რომ საერთო ჯამში უმართლებდა, მაგრამ ტრავმებმა მაინც გააშწარა: „ბევრი რამ მოხდა ჩემს ცხოვრებაში. „ბარსასთან“ ერთად შესანშნავი გამარჯვებები მოვიპოვე, მაგრამ მძიმე ტრავმებიც ვერ ამცდა, რომელთა გამო ფეხბურთს კარგა ხნით ჩამოვცილდი“.

არგენტინულ „ოლესთან“ ინტერვიუში „ბარსას“ ვარსკვლავმა ოპტიმისტურად ისაუბრა. მესიმ თქვა, რომ საშობაო არდადეგებზე სამშობლოში დაისვენებს და ესპანეთის ჩემპიონატსაც ტრავმამორჩენილი დაუბრუნდება.

„საშინელება იყო, როცა ვუყურებდი სხვები ფეხბურთს როგორ თამაშობდნენ — მე ხომ მაშინ მოედანზე გასვლა არ შემეძლო. სავარჯიშო დარბაზშიც სულ ერთი და იგივე წვრთნას გავდიოდი, ყოველდღიური სამი სახის ვარჯიშის შესრულების შემდეგ სახლში წასვლა მიწევდა. კინაღამ გავგიჟდი, თუმცა ბოლოს გამოჯანმრთელების ხათრით ყველაფერს შევეჩვიე“ — უთხრა მესიმ „ოლეს“.

ლადო ხომერიკი

ვენგერი ბაპტისტას თოფს ვერ ანდობს

ბრაზილიელმა შემტევმა ნახევარმცველმა ჟულიო ბაპტისტამ განაცხადა, რომ „არსენალში“ დარჩენა სურს და იმედოვნებს, მომავალ წელს რეგულარულად თამაშის საშუალებას მისცემენ.

25 წლის ფეხბურთელი 2005 წელს „რეალში“ „სევილიადან“ 24,2 მილიონ დოლარად გადავიდა, მაგრამ მადრიდელთა ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა. ავგისტოში „რეალმა“ და „არსენალმა“ სეზონის ბოლომდე ბაპტისტა და ხოსე ანტონიო რეიესი გაცვალეს. მომავალ ზაფხულს, თუ ორივე მხარე თანახმა იქნება, ისინი ფეხბურთელებს საბოლოოდ გაცვლიან.

ასევე ყოფილი სევილიელი რეიესი „რეალის“ ძირითად ფეხბურთელად იქცაო, რომ ვთქვათ, მართალი არ იქნება, მაგრამ იგი მადრიდელთა რიგებში უფრო მეტს და უფრო წარმატებულად თამაშობს, ვიდრე ბაპტისტა „მეთოფეებში“. მან ამ სეზონში პრემიერლიგის მხოლოდ ორი მატჩი დაიწყო ძირითადში.

„არსენ ვენგერი მეუბნება, რომ რეგულარულად თამაშის საშუალებას მაშინ მომცემს, როცა ინგლისურ ფეხბურთს კარგად შევეგუები. როგორც ჩანს, მისი აზრით, ამის დრო ჯერ არ მოსულა და ისევ ჩემს შანსს ველი. არ მინდა, უბრალოდ, ერთ-ერთი ფეხბურთელი ვიყო. მსურს, გუნდს რეალურად დავეხმარო და სარგებელი მოვუტანო. რაც შეეხება „რეალს“ ან იქ დაბრუნებას, ვერაფერ გეტყვით. ის „რეალი“ რომლიდანაც წამოვედი, დღევანდელისგან ძალიან განსხვავდებოდა. ფაბიო კაპელომ თავისი სისტემა შექმნა და ვთქვათ, მეც რომ მათამაშოს, საგრძნობლად უნდა შეცვალოს ტაქტიკა. არც ის ვიცი, ჩემი გაშვება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილი იყო, თუ პირადად კაპელოსი“ — განაცხადა ბაპტისტამ.

კოკი კანდელაკი



მე თვითმფრინავში ვცხოვრობ

ჩუკოტკაზე უარესი არაფერი მინახავს

რომან აბრამოვიჩი

დაიბადა სარატოვში, მდინარე ვოლგისპირა ქალაქში 1966 წლის 24 ოქტომბერს. სამი წლისაც არ იყო, დედამისი სისხლის მონამვლით რომ გარდაიცვალა, მამა კი მშენებლობაზე მუშად იდგა და უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა.

განათლება: სწავლობდა კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ქალაქ უხტის ინდუსტრიულ ინსტიტუტში. მსახურობდა ჯარში, რის შემდეგაც მოსკოვის სამართლის ინსტიტუტში აიღო დიპლომი.

ბიზნესი: პირველი სარფი ნავთობში ნახა. მისი ინტერესის სფეროში შედიოდა აგრეთვე ალუმინი და საავიაციო სფერო, კერძოდ, ავიაკომპანია „აეროფლოტი". ახლა ფლობს დიდ წილს ფოლადში, ფარმაცევტიკაში, კვების მრეწველობასა და ჟურნალ-გაზეთებში. მისი საკუთრებაა ფეხბურთის კლუბი „ჩელსი", რომელშიც 2003 წელს 140 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

პოლიტიკა: აპირებს ჩუკოტკის გუბერნატორობიდან გადადგომას.

ქონება: 19,5 მილიარდი დოლარი. მსოფლიოში მე-11 უმდიდრესი ადამიანი. ბრიტანეთში მასზე მდიდარი მხოლოდ ფოლადის მაგნატი ლაკშმი მიტალია.

ოჯახი: პირველ მეუღლეს ოლგას 1987 წელს დაუკავშირდა, მაგრამ 1989 წელს გასცილდა. ოლგა მასზე სამი წლით უფროსი იყო. მეორე მეუღლეს ირინა ჰქვია. ჰყავთ ხუთი შვილი.

(გაგრძელება)

ცივი ომის ეპოქა და ამ ეპოქიდან შემორჩენილი მტრობა იოლად არ ქრება, ხოლო, როდესაც ლონდონში კგბ-ს ყოფილ ჯაშუშს ალექსანდრ ლიტვინენკოს „პოლონიუმ 210"-ით წამლავენ, წინა პლანზე უნებლიედ გამოდის ფიქრები რუსულ ავტორიტარიზმსა და „წესებს გარეშე თამაშზე", თუმცა რომან აბრამოვიჩი ამბობს, რომ ამ საკითხზე არაფერი იცის და სამართალდამცავი სტრუქტურების ეიმედება.

გარდა ამისა აბრამოვიჩი აცხადებს, რომ იგი ლონდონში არასდროს დაუშინებიათ, ხოლო ხმები მის მცველთა შეიარაღებისა და რაოდენობის შესახებ გადაჭარბებულია. და კიდევ, ჭორზე, თითქოს შესაძლო მკვლელთათვის თავ-გზის ასარევად მცველთა შორის მისი ორეულებიც არიან, ის იცინის.

აბრამოვიჩის თქმით, მისი სიმშვიდე თვით ბრიტანულმა პრესამაც კი ვერ დაარღვია, არადა, იქ, მისი ოჯახის რღვევის თემა ქარბორბალასავით ტრიალებდა და პაპარაცებიც მუდმივად ჩასაფრებულნი იყვნენ მაღაზიებთან სადაც ივი და ირინა საყიდლებზე დადიოდნენ.

„ბრიტანული მედიის მესმის. ჩემთვის გასაგებია რატომ აკეთებენ ისინი ამას და ეს არ მძაბავს. ცხოვრებამ ბევრი რამისთვის ყურადღების არ მიქცევა მასწავლა".

ლიტვინენკოს იდუმალმა სიკვდილმა ბრიტანეთში მცხოვრები რუსების მოოქროვილი გარემო ცოტა არ იყოს შელანძღა, რის გამოც რუსთაგან ყველაზე ცნობილებმა ისე დაიწყეს ქცევა, თითქოს მათთვის მთელი ამ ისტორიისადმი ბრიტანული დამოკიდებულება სულერთი იყოს. ამ თემაზე საუბრისას აბრამოვიჩს გამოხედვაში გარკვეული ფოლადი იგრძნობა, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მას ეს ყველაფერი მართლა არ ანაღვლებს.

ხოლო დედამიწა რომ დამთავრდება და ცოტას კიდევ გაივლით, არის ადგილი, რომელსაც ჩუკოტკა ჰქვია. ეს ადგილი მოსკოვიდან 9 სასაათო ზოლითა და 4375 მილით არის დაშორებული და იქ ჩასასველად საგანგებო ნებართვა თვით რუსებს სჭირდებათ. ოდესღაც, ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, ამ გაყინულ მიწამდე ჩასვლისა და ადგილობრივთათვის იმის თქმისთვის, რომ ამიერიდან ყველაფერი სახელმწიფო საკუთრებაა, ახალი ხელისუფლების პატარა ჯგუფს ორი წელიწადი დასჭირდა. ეს ჯგუფი ადგილობრივმა მესაკუთრეებმა იქვე დახვრიტეს, მაგრამ საბოლოოდ მაინც კომუნიზმმა გაიმარჯვა და ალიასკიდან პირდაპირ მხოლოდ 24 მილით დაშორებული მიწა ცივი ომის ფრონტის ხაზად იქცა.

ჩუკოტკა პოლარულ წრეშია, სადაც 9 თვე ზამთარია და ტემპერატურა ხშირად მინუს 60-ს აღწევს. ეს გარემო ადამიანისთვის მთელ დედამიწაზე ერთ-ერთი ყველაზე მტრულია. იქ ცხოვრობს 50 ათასი კაცი და არის არაფრით შევსებული კილომეტრები. 90-იან წლებში სახელმწიფო ხალხს ხელფასს ვერ უხდიდა და მათაც წყალმცენარეებისა და ვეშაპოვანი მედუზის მოსაპოვებლად გაყინულ ტუნდრაში ფეხით მრავალი მილის გავლა უწევდათ. ჩუკოტკას პოსტსაბჭოური „სასოწარკვეთილების ქვაბულიც" კი შეარქვეს და ხუმრობდნენ, რომ იქაურთათვის ციმბირი საუკეთესო კურორტიაო.

მოკლედ, განებივრებული მილიონერი ფეხბურთელებისგან ამაზე მოშორებული ადგილი ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ სწორედ ჩუკოტკა გამოდგა უმდიდრესი ადამიანის პირველი საყვარელი პროექტის სამშობლო. ყოფილი სტუდენტი აბრამოვიჩი ჩუკოტკაზე ბორის ბერეზოვსკის პროტეჟეს რანგში ჩავიდა და „ინადირა" — ეს ის დროა, როდესაც ბერეზოვსკი რუსეთის აქტივებს სავაჭრო ფასით ყიდულობს და ქვეყანა კაპიტალისტურ ორომტრიალში იძირება. როდესაც ბერეზოვსკი პუტინს დაეჯახა, მენტორის წილი „სიბნეფტსა" და „აეროფლოტში" აბრამოვიჩმა გამოისყიდა, რითაც გახდა კიდეც დიდი, დამოუკიდებელი ოლიგარქი. კონკურენტებმა მას ბრალი უკანონო გარიგებებში დასდეს და ერთიანობა გამომძიებლებიც კი ჩაუჯდნენ, მაგრამ აბრამოვიჩი გამართლდა.

ჩუკოტკაში რომან აბრამოვიჩს 1999 წლის შემოდგომამდე არ ჩაედგა ფეხი, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია თითქმის მყისიერად გამხდარიყო რუსეთის დუმის დეპუტატი და ადგილობრივი გუბერნატორი. ის დაფრინავდა ათეულობით მიტოვებულ სოფელში და უამრავი გასაჭირის ამბავს ისმენდა. ამ ხალხის წინაშე მას ერთხელაც არ წარმოუთქვამს ლამაზი წინასაარჩევნო სიტყვა — ეს მისი სტილი არ არის — მაგრამ არჩევნებზე ხმათა ნამდვილ დემოკრატთათვის შემაშფოთებელი რაოდენობა, 100 პორცენტი მიიღო და 2001 წელს კაბინეტში შევიდა.

იმხანად აბრამოვიჩს, მართალია, ოჯახთან დაშორება მოუხდა, მაგრამ ჩუკოტკაზე დარეგისტრირდა, „სიბნეფტი" იქ გადაიტანა, კიდევ ორი საქველმოქმედო ორგანიზაცია გახსნა და რამდენიმე პროექტიც შეიმუშავა, მაგალითად რეგიონის ბავშვებს წელიწადში ერთხელ დასასვენებლად თბილ ადგილებში უშვებდა. ჯამში მან ჩუკოტკაზე 770 მილიონი გირვანქის ტოლფასი თანხა გადაქარა და 500 მილიონის ტოლფასი ინვესტიციაც მიიზიდა. აბრამოვიჩის კრიტიკოსები ამბობენ, რომ ამით ის პუტინსა და სხვა რუს პატრიოტებს აჩვენებდა, რომ რუსული წიაღისეულით ნაშვნფულს ისევ რუს ხალხთან აბრუნებდა და სწორედ ასეთი პოლიტიკის წყალობით აირიდა მიხაილ ხადარკოვსკის ხვედრი — ხადარკოვსკი გადასახედების დამალვის ბრალდებით დაპატიმრებულია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ აბრამოვიჩმა ჩუკოტკაზე თავისი პოლიტიკის გატარება ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როდესაც პუტინი ოლიგარქებს არ ებრძოდა.

რატომ ჩუკოტკა? ამ კითხვამ აბრამოვიჩი როგორც ჩანს გვარიანად დაღალა.

„ყველა თავის მიზეზს ასახელებს. ზოგი ამბობს, რომ ბავშვობა ჩრდილოეთში მაქვს გატარებული და ჩუკოტკასაც ამიტომ დავეხმარე, ზოგი ამბობს, რომ მძიმე ბავშვობა მქონდა და ამიტომ დავეხმარე ჩუკოტკას, ზოგი მიზეზად იმას ასახელებს, რომ ჩუკოტკაზე ბევრი ფული მოვიპარე, მაგრამ ამ მიზეზთაგან არც ერთი არ არის მართალი. თუ ჩამოხვალთ და ნახავთ, რა პირობებში ცხოვრობს 50 ათასი ადამიანი, უნებლიედ მოგინდებათ რაიმეს გაკეთება. იქ ნანახზე უარესი ცხოვრებაში არაფერი მინახავს".

ნებისმიერი მილიონერის ვალია გასცეს ქონების ნაწილი?

„თუ გინდა რომ ყველას ასიამოვნო, მაშინ ამ კითხვაზე „დიახ" უნდა უპასუხო, მაგრამ ქველმოქმედება მეტად რთული რამ გახლავთ. აუცილებელია იპოვნო სივრცე, სადაც შენი ქველმოქმედება შედეგს მოიტანს და კმაყოფილი დარჩები. ქველმოქმედება მოედანზე მტრედების კვებას არ ჰგავს, იგი პროფესიულ მენეჯმენტს ითხოვს".

და, დიდი ცინიკოსი უნდა იყოს ადამიანი, აბრამოვიჩის ქველმოქმედების შედეგმა მასზე შთაბეჭდილება რომ არ მოახდინოს. მისი პრესფოსისის ცნობით, ჩუკოტკაზე 18 ახალი სკოლა უკვე აშენდა, ხოლო 18 შენდება. ხალხს დაურიგდა კომპიუტერები, ტელევიზორები, წიგნები, დაინერგა უფასო კვების წესი. ადგილობრივი ხალხების, ჩუქჩებისა და ინუიტების გაქრობის პირას მდგომი კულტურა და ენები აღორძინების გზაზე შემობრუნდა. აიგო 28 სამედიცინო დაწესებულება, ანადირში უკვე აქვთ კინოთეატრი, სასტუმრო, მუზეუმი, სუპერმარკეტი და კულტურული ცენტრი. არის გერმანული რესტორანი, როგორიც აბრამოვიჩმა ხუთი წლის წინ მიუნხენის ცნობილ ფესტივალ ოკტობერფესტზე ნახა.

აბრამოვიჩის პრესფოსისი ამტკიცებს, რომ ჩუკოტკაზე სიცოცხლის ხანგრძლივობამ სამი წლით იმატა, ხოლო შობადობა 50 პოცენტით გაიზარდა და რუსეთში ყველაზე მაღალია. ბავშვთა სიკვდილიანობა ქვეყანაში იმდენად შემცირდა, რომ ათ საუკეთესო მაჩვენებელში შედის, როდესაც აბრამოვიჩამდე 10 უარესში შედიოდა.

მართლაც, აბრამოვიჩის პროექტის ცენტრში ბავშვები იყვნენ. თავად ოლიგარქი ორწლინახევრისა დაობლდა და ბიძამ თავისთან, კიმიში, ჩრდილოეთის სასტიკ გარემოში წაიყვანა საცხოვრებლად. მისი ცხოვრების ამ წლებს სხვანი საშინელებად აღწერენ, მაგრამ თავად აბრამოვიჩი ცდილობს შთაბეჭდილება შეგვაცვლევინოს:

„ჩემს ბავშვობას ცუდს ვერ დავარქმევ. საერთოდ, ბავშვობათა შედარება ძნელია, რადგან მართალია ზოგი სტაფილოს ჭამს, ზოგი კი კანფეტს, მაგრამ ორივეს საუცხოო გემო აქვს. ბავშვი განსხვავებას ვერ პოულობს“.

ერთი კვირის წინ აბრამოვიჩის ხალხმა ჟურნალისტები ჩუკოტკაზე წაიყვანა და ახალი აგებული სკოლები და საავადმყოფოები აჩვენა. იქაური თანამშრომლები ამ ყველაფერს სასწაულს, აბრამოვიჩს კი მესიას უწოდებდნენ.

ჩუკოტკის რეგიონული საავადმყოფოს მთავარი დირექტორი ალექსანდრ მასლოვი:

„2002 წლის თებერვალში გუბერნატორმა დამიბარა და საავადმყოფოს დასათვალიერებლად წაყვანა მთხოვა. თავის მოკვლა მინდოდა, რადგან ძველი საავადმყოფო საშინელ დღეში იყო. დღეს საავადმყოფო სრულიად გამართულია და მასლოვი მსოფლიოს ყველაზე იღბლიანი ექიმია, რადგან რაც სჭირდება აქვს“.

გადარჩა ჩუჩების ცხოვრების წესიც — მეირმეობა. საბაზრო ეკონომიკამ ირმები ნახევარი მილიონიდან 96 ათასამდე შეამცირა. შიმშილობის წლებში მათ ჭამდნენ, მეირმეები კი უმუშევრად რჩებოდნენ და ლოთდებოდნენ. აბრამოვიჩმა სუბსიდია გამოჰყო და ირმების რაოდენობა 200 ათასამდე გაზარდა, ხოლო ჩუჩებს ხელფასები დაუნიშნა და იარაღი დაურიგა.

მაგრამ შარშან რომან აბრამოვიჩმა „სიბნეფტი“ „გაზპრომს“ მიჰყიდა, რის წყალობითაც კიდევ უფრო მდიდარი გახდა. მაგრამ იგი აგრეთვე დიდ ფულს დებს რუსული ფოლადის ბიზნესში, ფარმაცევტიკაში, კვების მრეწველობაში ხელოვნებაში, სპორტსა და ზოგ ებრაულ საქველმოქმედო ღონისძიებაში.

რაც შეეხება პოლიტიკას, აბრამოვიჩი ამბობს, რომ გუბერნატორობა მას არანაირ იმუნიტეტს არ სძენს. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთში ჟურნალისტებს კლავენ, მოწმეებს მილიციის განყოფილებებში აწამებენ და კორუფციის დონე ძალიან მაღალია, ის პრეზიდენტ პუტინზე აუგს არ ამბობს.

„მე თუ მკითხავთ რუსეთი დემოკრატიულობის თვალსაზრისით ისეთივეა, როგორიც ყოველთვის იყო. ყოფილა ეს ქვეყანა ოდესმე უფრო დემოკრატიული? ერთი სიტყვით, ვფიქრობ, რომ დღევანდელი რუსეთი საკმაოდ დემოკრატიულია“.

ხადარკოვსკი ციმბირის ერთ-ერთ კოლონიაში რვა წლიან პატიმრობას იხდის; ბერეზოვსკი ლონდონშია გაქცეული. გამოდის, რომ აბრამოვიჩი კრემლის ფავორიტი ოლიგარქია.

„ამ ორთან შედარებით? — კითხულობს აბრამოვიჩი — ვერ გეტყვით სხვები რას აკეთებენ, მაგრამ მე ჩემი ბიზნეს მიღწევების გამო ხელისუფლებას არასდროს მივწოლივარ“.

როდესაც აბრამოვიჩი პუტინს ხვდება ისინი შენობით ლაპარაკობენ.

და ბოლოს: „არის ასეთი რუსული შეგონება, от тюрьмы и от сумы не зарекайся“ — ამბობს აბრამოვიჩი.

დიდი ფილის დიდი სიტყვა

სკოლარი ევროპით დაასრულებს

ბრაზილიელმა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ განაცხადა, რომ პორტუგალიის ნაკრების თავკაცის პოსტს ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დატოვებს. შეგახსენებთ, რომ „დიდი ფილი“ სამ წელზე მეტია, ლუზიტანებს წვრთნის და 2004 წლის ევროპის ჩემპიონატზე ისინი ფინალში გაიყვანა, ხოლო წლევანდელ მუნდიალზე — ნახევარფინალში.

„ლოგიკური და ჩვეულებრივი ამბავი იქნება, თუ 2008 წელს, როცა მოქმედ კონტრაქტს ვადა გაუვა, პორტუგალიის ნაკრებს დავტოვებ. მწვრთნელისთვის ერთ გუნდში 5-6 წლის მანძილზე მუშაობა სრულიად საკმარისია, მერე ცვლილებებია საჭირო“ — აღნიშნა სკოლარიმ.

მისი ეს განცხადება ალბათ ენიშნა ჟოზე მაურინიუს, რომელმაც ადრე თქვა, არ მინდა, სამწვრთნელო კარიერა ისე დავასრულო, ეროვნულ ნაკრებსაც რომ არ ვუთავკაცოო. თავად 58 წლის სკოლარიმ კი ჯერ არ იცის, რას იზამს პორტუგალიის ნაკრებიდან წასვლის შემდეგ.

„მოგეხსენებათ, მუნდიალამდე ცოტა ხნით ადრე ინგლისის ნაკრების გაწვრთნას მთავაზობდნენ. ეს პოსტი მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულებისთანავე უნდა ჩამებარებინა, თუმცა ამ წინადადებას ვერ მივიღებდი. ჯერ ერთი, პორტუგალიელ ხალხთან არ ვიქნებოდი მთლად მართალი და მეორეც, სწორად არ მიმაჩნია, გააფორმო კონტრაქტი ერთ ნაკრებთან, როცა ჯერ კიდევ მეორეს თაკაცობ. რას ვიზამ ამ პოსტის დატოვების შემდეგ, ჯერ ნამდვილად არ ვიცი. შესაძლოა, პორტუგალიაში დავრჩე, ან რომელიმე სხვა ევროპულ ქვეყანაში გავაგრძელო კარიერა, ანაც სამშობლოში დავბრუნდე“ — თქვა ბრაზილიის ნაკრებთან ერთად 2002 წლის მუნდიალის ტრიუმფატორმა.

გიორგი კაკაბაძე

კასანო ოთხად შეფასდა

ტალენტინოს მილანში აგზავნიან

ანტონიო კასანოს დღეები „რეალში“ დათვლილია, თუმცა „ტალენტინოს“ ასე იოლადაც არ გაუშვებენ. კასანო სამომავლო გეგმებში არ შედის, კლუბის უფროსობასთანაც ცუდი ურთიერთობა აქვს, მაგრამ რადგან თავის დროზე ექსპრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა მასში 5,5 მილიონი ევრო გადაიხადა, სამეფო თეთრების დღევანდელი უფროსობა ანტონიოს უფასოდ გასხვისებას არ აპირებს.

თავად იტალიელს „რომაში“ დაბრუნება უნდა, მაგრამ რადგან რომაულ ფანობასთან და იქაურთა ლიდერ ტოტისთან უბრადაა, მისი კვლავ „სტადიო ოლიმპიკოზე“ მისვლა საკმაოდ რთული იქნება. თანაც „რომაც“ არ ამჟღავნებს განსაკუთრებულ ინტერესს „ტალენტინოს“ ტრანსფერზე. ფორვარდი კი მადრიდის „რეალმა“ 4 მილიონ ევროდ შეაფასა.

ერთი წლის წინ სენიორ პერესმა იტალიელი თავდამსხმელი სამწვრთნელო შტაბის სურვილის წინააღმდეგ შეიძინა. დამრიგებლები ეუბნებოდნენ, იტალიელი არ გვინდაო, თუმცა ფლორენტინომ დაიჟინა, კასანო ფენომენური ნიჭის პატრონია და „ბერნაბეუზე“ სასწაულებს დაატრიალებსო. ანტონიო მართლაც ნიჭიერი მოიერიშეა, ოღონდ საძაგელი ხასიათი აქვს და თავის ძველ მასწავლებელ კაპელოს „რეალში“ ვერაფრით ვერ შეეწყო. მედიის ცნობით, „ტალენტინოს“ იანვრის სატრანსფერო ბაზარზე კარლო ანჩელოტის „მილანი“ იყიდის.

ლადო ხომერიკი

მანჩესტერს შეუბერია



„მანჩესტერ იუნაიტედმა“ საკადრისად აღნიშნა საშობაო საღამო, რომელიც 50 ათასი გირვანქა დაჯდა. მოქალაქეები იოლად შეამჩნევდნენ გამთენიისას ქუჩაზე მოხორხოცე, მთვრალ ფეხბურთელებს, რომელთა შორისაც პირველობდნენ უეინ რუნი, გაბრიელ ჰაინცე და კრიშტიანუ რონალდუ.

ქეიფზე მანჩესტერის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროში ბარე ასი კაცი იყო მიწვეული და სასმელი წყალივით მოედინებოდა. ქეიფის ბოლოს მოზიმეებმა დამსხვრეული ჭურჭლის, დასვრილი კედლებისა და დაზიანებული ნახატების ჯარიმაც გადაიხადეს.

დროსტარების სული და გული რიო ფერდინანდი ყოფილა, რომელიც ბევრს ხუმრობდა და ცეკვაში პირველობდა.

რონალდუმ გვარიანად მოილხინა

გასაყიდი ბილეთები და გაყიდული ფეხბურთელები

სამხრეთ ამერიკის ბობოლა კლუბებს საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვა უწევთ ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად, რადგან „ო გლობოს“ გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ ხალხი ფეხბურთზე არ დადის და ბილეთებიდან შემოსავალი ძალიან ცოტაა.

ბრაზილიური კლუბების ბიუჯეტის 30 პროცენტი 2005 წელს ფეხბურთელების გაყიდვით შეივსო. არგენტინულ გუნდებში გასხვისებით მიღებულმა შემოსავალმა 50 პროცენტი შეადგინა, ხოლო ურუგვაიში — 53. ბიუჯეტში მხოლოდ შვიდი პროცენტი მოდის ბილეთებზე.

ევროპაში ამ მხრივ საქმე სხვაგვარადაა. პრემიერლიგური კლუბების ბიუჯეტში გაყიდული ბილეთების წილი 34 პროცენტია, ესპანეთში — 31, ხოლო იტალიაში — 16. სამხრეთ ამერიკაში ევროპელებს მხოლოდ მექსიკა გაეჯიბრება ბილეთების გასაღებით — 25 პროცენტი.

ყველაზე დიდი ექსპორტიორი ბრაზილიაა, რომელმაც 2005 წელს 804 მოთამაშე გაყიდა და 100 მილიონი ევრო მიიღო. რობინიო უძვირფასესი ფეხბურთელია ბრაზილიის ისტორიაში, რადგან მის სანაცვლოდ „რეალმა“ 30 მილიონი დოლარი გადაიხადა.

„ოგლბოს“ განცხადებით, ფეხბურთზე ძალიან ცოტა ხალხი დადის, ხოლო უდიდესი „ვარსკვლავების“ ნახვა მხოლოდ ტელევიზორში შეუძლიათ, რომლებიც ევროპაში თამაშობენ.

ბოლო 10 წლის განმავლობაში, ბრაზილიაში ერთ მატჩს საშუალოდ 12 ათასი გულშემატკივარი დაესწრო, არგენტინაში — 10 600, ხოლო ჩილეში — მხოლოდ 4 800.

ირაკლი ნინიძე

ყველაზე ოხერი

დიდიე დროგბამ ამაყად განაცხადა, რომ პრემიერლიგის საუკეთესო ფეხბურთელია. „ჩელსის“ თავდამსხმელმა წლეულს უკვე 27 გოლი გაიტანა, მაგრამ ისიც არავის ავიწყდება, რომ დროგბა ლიგის ყველაზე ოხერი სიმულანტია.

სპილოსძვლელს მიაჩნია, რომ წლეულს აუცილებლად უნდა დაასახელონ სეზონის საუკეთესო მოთამაშედ.

„თუ პრემიერლიგის საუკეთესოდ სხვას დაასახელებენ, დიდი სირცხვილი იქნება — თქვა დროგბამ — სინამდვილე სწორედ ეს არის. ასეთი მაგარი არასდროს ვყოფილვარ. საკვირველია, მაგრამ ახლა, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი დადებითია“.

დროგბა მართლაც საუცხოოა, მაგრამ ისიც არავის ავიწყდება, რომ მას საკუთარმა ფანებმა უსტვინეს, როცა „მანჩესტერ სიტისთან“ თამაშისას სამარცხვინოდ გაკოტრიალდა, ხოლო მერე ტელევიზორში განაცხადა, რომ სიმულაციებს გააგრძელებს.

დროგბა სეზონის ორი ჯილდოდან, ერთს მაინც ელის: „ფეხბურთელთა რჩეულის პრიზს, ან ფეხბურთზე მწერალთა აღიარებას. ისე კი, ორივეს მოგება ურჩევნია.

ირაკლი გამყრელიძე

ვილიას მოსავალი

ღამურა ესპანეთს გადაეფარა

დავიდ ვილია

დავიდ ვილიასა და ფერნანდო მორიენტესის აზრით, საშობაო არდადეგებმა „ვალენსიას“ ცუდ დროს მოუსწრო, რადგანაც ხანგრძლივმა შესვენებამ შეიძლება „ღამურები“ რიტმიდან ამოაგდოს. ვილიამ თქვა: „ვიცოდით, რომ გუნდში კრიზისი აღრე თუ გვიან მაინც დამთავრდებოდა. საახალწლო შესვენება მაშინ მოვიდა, როცა სიტუაცია ისის იყო გამოვასწორეთ. ამ მხრივ, შეიძლება, არდადეგებმა ცუდი სამსახური გაგვიწიოს, თუმცა დასვენება და ძალების აღდგენაც აუცილებელია — 2007 წელს ბრძოლისუნარიანები უნდა შევხვდეთ.“

ფერნანდო მორიენტესიც თანაგუნდელის აზრს იზიარებს: „არდადეგების პერიოდი კარს უდროო დროს მოგვადგა. კრიზისი დავძლიეთ, კარგ შედეგებს მივაღწიეთ და შესვენებისას შეიძლება დინამიკა დავკარგოთ. თუმცა ძალ-ღონეს მოკრებაც საჭიროა, ხუთი თვის განმავლობაში კატორღელებივით ვმუშაობდით“.

ვილია კი ესპანეთის 2006 წლის მთავარმეგოლეა. „ვალენსიას“ ფორვარდმა 2005-06-ის სეზონის მეორე ნახევარში და 2006-07-ის პირველ წრეში სულ 23 გოლი გაიტანა და დიეგო მილიტო (20 გოლი), რონალდინიო (19) და ფრედერიკ კანუტი (18) უკან მოიტოვა. მოკლედ, ვილიამ 2006-ში ესპანურ კლუბებში მობურთავეთაგან ყველაზე მეტი გოლი შეაგდო.

ვალენსიელმა წლეულს პრიმერადივიზიონის 35 ტურში მიიღო მონაწილეობა, აქედან 21 გასულ სეზონზე მოდის. სულ მოედანზე ვილიამ 2869 წუთი დაყო, გოლები კი ყოველ 124,7 წუთში გაჰქონდა. ესპანეთის ჩემპიონატში გატანილ 23 გოლს ჩემპიონთა ლიგაზე შეგდებული ოთხი და კოპა დელ რეიზე გახერხებული ორი გოლიც უნდა მიეუმატოთ. თან ვილიას ნაკრებში გარეკაც არ არის დასავიწყებელი, მან „ფურია როხას“ შემადგენლობაში 2006 წელს 7 ბურთი გაიტანა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მეტოქის კარზე დაგეშილი „ღამურა“ 2006-ს 36 გოლით ემშვიდობება.

ლადო ხომერიკი

მსაჯთუხუცესი

სტეფანო ტედესკი

სტეფანო ტედესკი, რომელიც სერია A-სა და სერია B-ს მატჩებისთვის მსაჯებს ნიშნავდა, გადადგა. შეგახსენებთ, რომ კალჩოპოლის სკანდალის შემდეგ მას ეს პოსტი 2 აგვისტოს დიდი ამბით ჩააბარეს, როგორც პატიოსან და ნიჭიერ ადამიანს. თუმცა მიმდინარე სეზონში იტალიაში მსაჯები არაერთხელ შეცდნენ, რასაც მათი და ტედესკის კრიტიკაც მოჰყვა, არბიტრებს არასწორად არჩევს და არც სათანადოდ სჯისო.

„ვფიქრობ, ჩემი გადაწყვეტილება, პირველ რიგში, იმ მსაჯების ინტერესებში შედის, რომლებთანაც ერთად მუშაობის პატივიც ხუთი თვის მანძილზე მქონდა. რამდენიმე არბიტრი მართლაც შეცდა, მაგრამ ამის გამო ისინი გაუთავებელ კრიტიკას არ იმსახურებენ“ — აღნიშნა ტედესკიმ.

იტალიის მსაჯთა ასოციაციის მმართველ ჩეზარე გუსონის ახლა ტედესკის შემცვლელის პოვნა მოუწევს, თან საკმაოდ მალე, რადგან სერია A და სერია B 13 იანვარს განახლდება.

გავრცელებული ცნობით, პოსტი შესაძლოა, პიერლუიჯი კოლინას ჩააბარონ, რომელიც საკმაო ხნის მანძილზე მსოფლიოს საუკეთესო არბიტრად მოიაზრებოდა და კარიერა წელიწადზე მეტია, დასრულა. მოგეხსენებათ, კოლინა იტალიაში უმწიკვლო რეპუტაციით სარგებლობს.

გიორგი კაკაბაძე

თავისუფლება მარტამდე



ძალადობაში ეჭვმიტანილი ფრანგი ფეხბურთელი გარა დემბელე დროებით გაათავისუფლეს. შეგახსენებთ, რომ დემბელე 11 ოქტომბერს რომში, ერთ-ერთ ღამის კლუბში დააკავეს, რადგან მავანმა ამერიკელმა სტუდენტმა გოგომ უჩივლა, ტუალეტში გაუპატიურებას მიპირებდაო.

„ოსერის“ ყოფილი მოთამაშე დააკავეს და თითქმის ორი თვე წინასწარი პატიმრობის საკანში გაატარა. ახლა, მისი ადვოკატის თქმით, დროებით სახლში გაუშვეს, ოღონდ მარტში სასამართლოზე გამოიძახებენ. გარა დემბელე, ცხადია, გოგოზე ძალადობას უარყოფს და ამბობს, რომ ყველაფერი ნებაყოფლობით ხდებოდა. დემბელე რომში ახალი კლუბის მოსაძებნად იყო ჩასული. მას საფრანგეთის 18 და 19-წლამდელთა ნაკრებებში უთამაშია.

ირაკლი ნინიძე

მადინაბეიტია მდევარი

მარტო კაცი ჰენალტებშიც ბრალია

— სეზონის შესახებ რას გვეტყვით?

— გუნდი ახალი მწვრთნელის, ხავიერ აგირეს მიერ შემოთავაზებულ სტილს ნელ-ნელა ეჩვევა. ერთად დიდი ხანი არ გვიმუშავია.

— გუნდი შედეგებს აღწევს, თუმცა შთამბეჭდავად ვერ თამაშობს...

— „ატლეტიკო" უფრო კარგად თამაშობს, ვიდრე ცუდად. არ დაგავიწყდეთ, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენს წამყვან ფეხბურთელებს ტრავმები აწუხებდათ. ვნახოთ, საშობაო არდადეგების შემდეგ რა მოხდება. დარწმუნებული ვარ, იანვრიდან უფრო კარგად ვითამაშებთ, ვიდრე აქამდე.

— „ატლეტიკოს" კარგ კამპანიაში თქვენ დიდი წვლილი შეიტანეთ...

— გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ, განსაკუთრებით დაცვის ხაზისა. შეცდომები, ძირითადად, შემთხვევითი იყო და დაცვის სისუსტით არ აიხსნებოდა. მწვრთნელმა დიდი სამუშაო გაწია და ბიჭებმაც თავისი საქმე კარგად გააკეთეს.

— გეტყობათ, საკუთარ თავზე ლაპარაკი არ გიყვართ. თუმცა ლეო ფრანკოს ოსტატობა მაინც არ დაიმალება, თუნდაც „ბეტისთან" თქვენ მიერ მოგერიებული პენალტები გავიხსენოთ...

— ყოფილა შეხვედრები, სადაც

რობერტო აბონდანსიერის შემდეგ „ატლეტიკოს" მეკარე ლეო ფრანკო მეორეა, ვისაც წლევანდელ პრიმერაში მეტოქეებმა ძალიან ცოტა გოლი გაუტანეს. როცა „ათლეტთა" მოიერიშეები მოწინააღმდეგეს უტევენ, უკანა ხაზი მშვიდად ეგულებათ — იქ ხომ საუცხოო ლეო ფრანკოა. არგენტინელ მეკარეს მადრიდული „ასი" გაესაუბრა

როგორც მოთამაშეს, ხალხმა ყველაზე მეტი ყურადღება მომაქცია, თუმცა ერთი ფეხბურთელი მატჩს ვერ მოიგებს. მე ყოველთვის ამ შეხედულების მომხრე ვრჩები.

— თავის დროზე „ატლეტიკოში" მითიური მადინაბეიტია თამაშობდა, ვისაც უცხოელ მეკარეთა შორის „ვისენტე კალდერონზე" ყველაზე მეტი მატჩი აქვს გამართული. თქვენ ამ მხრივ მეორე ადგილზე ხართ...

— რა თქმა უნდა, მეც მინდა, რომ „ატლეტიკოს" ფორმით ისტორიაში შევიდე, თუმცა კლუბის გულშემატკივრები მავანი მოთამაშის სახელს გულზე ისე არ დაიწერენ, თუ მან რაიმე ჯილდო არ მოიგო. მაგრამ მართლა მსურს, ეს შემადგენლობა ისტორიაში შევიდეს. ცხადია, „ატლეტიკოს" დარ გუნდში ყოფნას არაფერი სჯობს, „ვისენტე კალდერონზე" ხალხი თავის რჩეულებს საოცარ პატივს სცემს, ოღონდ ამ რჩეულებში მოხვედრა ძალიან ძნელია.

— რა მოხდა 2006 წელს ყველაზე კარგი და ყველაზე ცუდი?

— კარგია ის, რომ რთული თამაშები მოვიგეთ. ცუდი მაქსის და პეტროვის ტრავმიანობა იყო. ისინი დროის მცირე შუალედში დაიმტვრნენ და ძალიან დაგვამწუხრეს.

— ტრავმებმა ბევრი რამ შეცვალა „ატლეტიკოში"?

— ბევრი არაფერი. ჩვენ თავიდან დასახული მიზანი გვაქვს და ამას ბოლომდე მივიყვანთ. ძალიან უცნაური რამ უნდა მოხდეს, ეს მიზანი რომ არ ავისრულოთ.

— პრიმერადივიზიონი ისე წარიმართა, როგორც ელოდებოდით?

— თუ გუნდმა კარგად ითამაშა, ლიდერებში მოვხვდებით. როცა ძლიერი ხარ, დანარჩენებმა რაც უნდა აკეთონ, ლიდერობა არ აგცდება. პრიმერა კი ალბათ ისე წარიმართა, როგორც ველოდებოდი.

— „ატლეტიკო" ცხრილში მეოთხე ადგილს შეინარჩუნებს?

— მე მუდამ მომავალ მატჩზე ვფიქრობ. შორეულ მომავალზე ლაპარაკი არ მიყვარს.

— პრაგმატიკოსი ყოფილხართ...

— თუ მოგება გინდა, საქმე ნელნელა, ტურიდან ტურამდე უნდა აკეთო. ერთბაშად არაფერი კეთდება.

პორტუგალიის ნაკრებისა და მადრიდის „ატლეტიკოს" გარემარბი მანიშე ლისაბონის პატრულმა დააკავა მანქანის გადაჭარბებული სიჩქარით მართვის გამო, თუმცა ჯარიმის გადახდის შემდეგ გაუშვეს. საჭესთან მანიშეს მეუღლე დაჯდა.

იტალიური „უდინეზეს" მწვრთნელმა ჯოვანი გალეონემ აღნიშნა, რომ გუნდის ლიდერი ვინჩენცო იაკინტა არსად წავა. 27 წლის თავდამსხმელს მრავალი მსურველი კი ჰყავს, „მილანის" თამადობით, მაგრამ უდინელებმა გადაწყვიტეს, შეინარჩუნონ იგი.

სერბული ოფკ-ს მწვრთნელი რატკო დოსტანიჩი გახდა. მან სლობოდან კრჩმარევიჩი შეცვალა. „ცრვენა ზვეზდას" ყოფილი თავკაცი ბოლოს სოფიის „სლავიაში" მუშაობდა. „წარსულში რამდენჯერმე ოფკ-სთან კონტრაქტის გაფორმებასთან, თითქმის აღარაფერი მიკლდა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მივიდა. ბოლოს და ბოლოს მიხარია, რომ აქ ვარ და იმედია, წარმატებებს მივაღწევთ" — თქვა 47 წლის სპეციალისტმა.

რუსული „სპარტაკის" არგენტინელი თავდამსხმელით ფერნანდო კავენაგით ინგლისური „ნიუკასლი" დაინტერესდა. „კაჭკაჭთა" მწვრთნელი გლენ რიოდერი მის თხოვებაზეც ყაბულსაა და ყიდვაზეც, თუმცა სამხრეთამერიკელს სხვა მსურველიც ჰყავს — ლაკორუნიის „დეპორტივო". გავრცელებული ცნობით, ესპანელები მზად არიან, მასში 8 მილიონი ევრო გადაიხადონ.

ფრანგული ჰსუ თავდასხმაში პედრო პაულტას ღირსეულ შემცვლელს ეძებს. პარიზელებს იტალიური „პალერმოს" ფორვარდ ანდრეა კარაჩოლოსთვის დაუდგამთ თვალი. 25 წლის თავდამსხმელი სიცილიელთა შემადგენლობაში რეგულარულად ვერ ხვდება და კლუბის გამოცვლაზე ფიქრობს.

რუსული „ზენიტის" ფორვარდი ალექსანდრ კერჟაკოვი შესაძლოა, მოსკოვის „სპარტაკში" აღმოჩნდეს. მისდამი ინტერესს ესპანური „სევილიაც" იჩენდა და თავად ფეხბურთელსაც სწორედ ამ ქვეყნის კლუბში სურს გადასვლა, მაგრამ ამისგან ჯერ არაფერი გამოდის. „სპარტაკის" წინადადება კი საკმაოდ მიმზიდველი ყოფილა. სანკტპეტერბურგელთა ხელმძღვანელობა გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს.

ული ჰიონესი: რეალს აქედან ვხედავ, მაგრამ თავხედი არ ვარ

მიუნხენის „ბაიერნის" სპორტული დირექტორის ული ჰიონესის აზრით, მის გუნდს და მადრიდის „რეალს" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლის თანაბარი შანსები აქვთ. ბავარიული და მადრიდული გიგანტები ერთმანეთს ლიგის მერვედფინალში დაეჯახებიან და ორრაუნდიან ბრძოლას გამართავენ. პირველი მატჩი 20 თებერვალს გაიმართება, მეორე კი — 7 მარტს.

„ახლა ჩვენ ერთნაირ სიმაღლეზე ვართ. იმედი მაქვს, რომ „რეალს" დავამარცხებთ და ლიგის შემდგომ ეტაპზეც „ბაიერნი" გავა. პირველი შეხვედრა მადრიდში უნდ ჩატარდეს, რაც ჩვენთვის მცირედ უპირატესობას წარმოადგენს. მოსაგებად თავს არ დავზოგავთ, მაგრამ ვიცით, რომ ეს ძალიან ძნელი იქნება" — თქვა ბავარიელების მენეჯერმა.

ჰიონესი ძველებურად ოპტიმისტია. თავის დროზე ულიმ 1974, 1975 და 1976 წლებში ლეგენდარულ „ბაიერნთან" ერთად სამი ჩემპიონთა თასი მოიგო. მაშინ იმ საოცარ გუნდში სხვა ვარსკვლავებთან ერთად, ფრანც ბეკენბაუერი და გერდ მიულერი თამაშობდნენ. ჰიონესი კი კვლავ იმედიანადაა და სჯერა, რომ დიდი გამარჯვებების მოპოვება დღევანდელ „ბაიერნსაც" შეუძლია.

მადრიდელთა და მიუნხენელთა დუელი კი დიდსაფეხბურთო კლასიკა გახლავთ. გუნდები რვაჯერ შეხვდნენ ერთმანეთს საკლუბო ევროტურნირების უმაღლეს სარბიელზე. „რეალს" საერთოდ არ უმართლებს „ბაიერნის" არენაზე. სამეფო თეთრებმა „ოლიმპიაშტადიონზე" ფრე მარტო ერთხელ ითამაშეს და შვიდჯერ წააგეს, ზოგჯერ ძალიან მწარედაც, როგორც 1987 წლის ნახევარფინალებისას მოხდა. მაშინ „ოლიმპიაშტადიონზე" გერმანელებმა 4:1 გაიმარჯვეს.

ხსენებული ომები ისტორიულ „ოლიმპიაშტადიონზე" გაიმართა, ჰიონესს კი იმედი აქვს, რომ „ბაიერნი" „რეალს" ახალ, სპეციალურად 2006 წლის მუნდიალისთვის აშენებულ „ალიანს არენაზეც" დაჯოქებს: „ალიანს არენა" გაცილებით უკეთესია, ვიდრე „ოლიმპიაშტადიონი". გულშემატკივრები მოედანთან ახლო არიან და მჯერა, რომ ფანებისგან გამხნევებული გუნდი თავის ამოცანას წარმატებით გადაჭრის. ეს ფაქტორი ჩვენს სასარგებლოდ იმოქმედებს... მადრიდული მატჩი ალბათ ფრედ დასრულდება, ხოლო მიუნხენში „ბაიერნი" მოიგებს. ჩემი ოცნებაა, ათენში ჩემპიონთა ლიგის ფინალში სწორედ "ბაიერნმა" ითამაშოს."

ბავარიელმა მენეჯერმა აღნიშნა, რომ გერმანული ფანობა ესპანელ ინჩასებს აგრესიულ დახვედრას არ უმზადებს და ესპანური პრესა წინასამატჩო ანტიბაიერნული აჟიოტაჟის ატეხვაში დაადანაშაულა: „ჩვენი გულშემატკივრები „რეალისადმი" მტრულად არ არიან განწყობილნი, ეს გუნდი გერმანიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, ხოლო ზღაპრები იმის შესახებ, რომ თითქოს მიუნხენელები ჩამოსულ ესპანელთა დასარბევად ემზადებიან, ესპანური გაზეთების გავრცელებულია."

ჰიონესმა, რომელიც უკვე 27 წელიწადია, კლუბის თავკაცობაში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობს და 2009 წელს პრეზიდენტი გახდება, გერმანულ მედიასთან საუბარში მადრიდის „რეალში" ინსტიტუციონალურ პრობლემებზე ლაპარაკისგან თავი შეიკავა. საქმე სამეფო გუნდში თავკაცთა ხშირ ცვლილებას ეხება, ბოლო ერთი წლის განმავლობაში ხომ ესპანელებმა სამი პრეზიდენტი გამოიცვალეს. „თავხედობა იქნება, რომ „რეალს" აქედან რჩევები მივცე. თავიანთ პრობლემებს თვითონვე მოაგვარებენ, უკვე დიდი ხანია, რაც სიტუაციის დარეგულირებაზე მუშაობენ" — თქვა ბავარიელმა.

ლადო ხოფერიძე



მორატი: არ მოდუნდეთ!

მილანის „ინტერის" პრეზიდენტი მასიმო მორატი წლეულს თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილია და თვლის, რომ ყველაფერი კარგად მიდის. თუმცა მან ფეხბურთელებსა და მწვრთნელ რობერტო მანჩინის მოუწოდა, კონცენტრაცია არ დაკარგოთ და საქმე მომთავრებულად არ ჩათვალოთო.

„ზედიზედ 11 მატჩი მოვიგეთ და ეს ბევრ რამეზე მეტყველებს, თუმცა ჯერ არც ერთი ტიტული არ გვაქვს და მთავარია, ბიჭებმა ეს კარგად გაიაზრონ. წინ 6 დაძაბული თვე გვაქვს და საქმე ბოლომდე რომ მივიყვანთ, შემართება წუთითაც არ უნდა დავკარგოთ, თავს მოდუნების საშუალება არ მივცეთ. ვფიქრობ, მანჩინის ეს კარგად ესმის და ფეხბურთელებსაც არიგებს. სხვა მხრივ, სანერვიულო არაფერია, ახალ წელს მშვიდად და მშვენიერ განწყობაზე შევხვდებით" — განაცხადა მორატიმ.

შეგახსენებთ, რომ „ნეროაძური" სერია A-ს დამაჯერებლად ლიდერობს. თამაშს აგრძელებს იტალიის თასზეც და ჩემპიონთა ლიგაშიც. მილანელები მართლაც კარგად გამოიყურებიან და სამივე ამ ტიტულის მოგების რეალური შანსი აქვთ.

კოკი კანდელაკი

სარგებელი ტოტალიზატორ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. პრემიერლიგა						
		27 დეკემბერი						
23:45	14	ჩარლტონი-ფულემი	2.35	3.20	2.80	1.35	1.27	1.49
		30 დეკემბერი						
16:45	15	ჩარლტონი-ასტონ ვილა	2.65	3.00	2.45	1.40	1.27	1.34
19:00	16	ბლეკბერნი-მიდლსბრო	2.05	3.10	3.30	1.23	1.26	1.59
19:00	17	ბოლტონი-პორტსმუთი	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59
19:00	18	ჩელსი-ფულემი	1.22	5.20	9.50	1.00	1.08	3.36
19:00	19	ევერტონი-ნიუკასლი	2.05	3.10	3.30	1.23	1.26	1.59
19:00	20	მანჩესტერი-რედინგი	1.22	5.00	9.50	1.00	1.08	3.27
19:00	21	ტოტენჰემი-ლივერპული	2.45	3.10	2.70	1.36	1.28	1.44
19:00	22	უოტფორდი-უიგანი	2.60	3.00	2.60	1.39	1.29	1.39
19:00	23	ვესტ ჰემი-სიტი	2.10	3.10	3.20	1.25	1.26	1.57
19:00	24	შეფილდი-არსენალი	4.40	3.40	1.65	1.91	1.20	1.11
		1 იანვარი						
16:45	25	ლივერპული-ბოლტონი	1.50	3.60	5.50	1.05	1.17	2.17
19:00	26	ფულემი-უოტფორდი	1.85	3.20	3.65	1.17	1.22	1.70
19:00	27	სიტი-ევერტონი	2.10	3.10	3.30	1.25	1.28	1.59
19:00	28	მიდლსბრო-შეფილდი	1.95	3.20	3.50	1.21	1.25	1.67
19:00	29	პორტსმუთი-ტოტენჰემი	2.40	3.10	2.70	1.35	1.27	1.44
19:00	30	რედინგი-ვესტ ჰემი	1.95	3.20	3.40	1.21	1.23	1.64
19:00	31	უიგანი-ბლეკბერნი	2.10	3.20	3:20	1.26	1.26	1.60
19:00	32	ნიუკასლი-მანჩესტერი	4.00	3.20	1.85	1.77	1.26	1.17
		2 იანვარი						
23:45	33	არსენალი-ჩარლტონი	1.25	4.90	8.50	1.00	1.08	3.10
23:45	34	ასტონ ვილა-ჩელსი	4.70	3.40	1.65	1.97	1.22	1.11
		შოტლანდია. პრემიერლიგა						
		27 დეკემბერი						
23:45	265	ინვერნესი-რეინჯერსი	6.20	3.70	1.50	2.31	1.20	1.06
		ესპანეთი. I დივიზიონი						
		6 იანვარი						
21:00	372	ატლეტიკო-ტარაგონა	1.27	4.50	10.00	1.00	1.12	3.10
21:00	379	სოსიედადი-ოსასუნა	2.30	3.10	2.80	1.32	1.26	1.47
21:00	381	სარაგოსა-სევილია	2.60	3.10	2.60	1.41	1.29	1.41
		7 იანვარი						
21:00	373	ბეტისი-სელტა	2.35	3.10	2.80	1.33	1.27	1.47
21:00	374	ესპანიოლი-უელვა	2.05	3.10	3.40	1.23	1.27	1.62
21:00	375	სეტაფე-ბარსელონა	5.50	3.60	1.55	2.17	1.20	1.08
21:00	376	დეპორტივო-რეალი	4.70	3.30	1.70	1.93	1.24	1.12
21:00	377	ლევანტე-რასინგი	2.15	3.00	3.30	1.25	1.30	1.57
21:00	380	ვილიარეალი-ვალენსია	2.60	3.00	2.60	1.39	1.29	1.39
		ესპანეთი. II დივიზიონი						
		7 იანვარი						
21:00	392	სიუდადი-სპორტინგი	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
21:00	393	ელჩე-კადისი	2.35	2.90	3.00	1.29	1.31	1.47
21:00	394	ლორკა-პერუჯულესი	2.50	2.90	2.70	1.34	1.29	1.39
21:00	395	მალაგა -ალმერია	2.25	2.90	3.10	1.26	1.30	1.49
21:00	396	ეხიდო-ნუმანსია	2.25	2.80	3.20	1.24	1.32	1.49
21:00	397	პონფერადინა-კასტელონი	2.50	2.80	2.80	1.32	1.32	1.39
21:00	398	რეალი(ბ)-მურსია	2.20	2.90	3.10	1.25	1.28	1.49
21:00	399	სალამანკა-ლას პალმასი	1.65	3.20	5.20	1.08	1.25	1.98
21:00	400	ვალიადოლიდი-ალავესი	1.60	3.20	5.70	1.06	1.24	2.04
21:00	401	ვეცინდარიო-ტენერიფე	2.50	2.90	2.70	1.34	1.29	1.39
21:00	402	სერესი-ალბასეტე	1.90	3.00	4.00	1.16	1.28	1.71
		ჰოლანდია. I დივიზიონი						
		27 დეკემბერი						
23:00	437	დენ ჰააგი-ვალვაიკი	1.90	3.20	3.70	1.19	1.25	1.71
23:00	438	ბრედა-ვიტესი	2.30	3.20	2.85	1.33	1.27	1.50
23:00	439	ნაიმეგენი-ჰერენვენი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
23:00	440	ტვენტე-ალკმაარი	3.20	3.20	2.10	1.60	1.26	1.26
23:00	441	უტრეხტი-ჰერაკლესი	1.42	3.80	7.00	1.03	1.18	2.46
23:15	442	აიაქსი-როდა	1.25	4.80	9.50	1.00	1.10	3.18
		საბერძნეთი						
		6 იანვარი						
19:00	480	ოფი-აპრომიტოსი	2.05	2.90	3.75	1.20	1.32	1.63
21:00	481	პაოკ-აეკ	2.65	2.90	2.60	1.38	1.31	1.37
		7 იანვარი						
17:00	482	იონიკოსი-ერგოტელისი	2.10	2.90	3.60	1.21	1.32	1.60
17:00	483	კალამარია-კერკირა	2.05	2.90	3.80	1.20	1.33	1.64
19:00	484	პანიონიოსი-ირაკლისი	2.30	2.90	3.20	1.28	1.33	1.53
19:00	485	ქსანთი-ოლიმპიაკოსი	4.20	3.20	1.80	1.81	1.25	1.15
21:00	486	არისი-ოლიმპია	1.80	3.10	4.50	1.13	1.28	1.83
21:00	487	პანათინაიკოსი-ეგალეო	1.15	6.30	14.00	1.00	1.06	4.34
		ჰოკეი. შვედეთი						
		27 დეკემბერი						
22:00	664	ჰვ 71-ლინხიოპინგი	1.75	4.20	3.00	1.23	1.10	1.75
22:00	665	ფერიესტადი-მალმიო	1.35	4.40	5.00	1.03	1.06	2.34
22:00	666	ფრიოლუნდა-მოდო	2.00	4.00	2.40	1.33	1.09	1.50
22:00	667	იურგორდენი-ლულეო	2.05	4.00	2.30	1.35	1.08	1.46
22:00	668	ტიმრე-ბრინესი	1.85	4.00	2.50	1.26	1.06	1.53
		ჰოკეი. ფინეთი						
		28 დეკემბერი						
20:30	686	ჰელსინკი-იოკერიტი	2.30	4.20	2.15	1.48	1.11	1.42
20:30	687	ილვესი-ტაპარა	2.80	4.20	1.85	1.67	1.11	1.28
20:30	688	კერეტი-ჰაამეენლინა	1.65	4.20	3.30	1.18	1.10	1.84
20:30	689	ტურკუ-სეიპა	1.45	4.30	4.50	1.08	1.09	2.19
20:30	690	იუვესკიულე-კალპა	1.50	4.40	3.80	1.11	1.07	2.03
20:30	691	ლუკო-ესპი	1.55	4.30	3.50	1.13	1.07	1.92
20:30	692	ჰელიკანსი-ესპოო	2.20	4.00	2.30	1.41	1.12	1.46
		ჰოკეი. ჩეხეთი						
		27 დეკემბერი						
20:00	709	ტრენეცი-კლადნო	1.80	4.20	3.00	1.25	1.12	1.75
20:00	710	ვსეტინი-ლიტვინოვი	3.00	4.20	1.80	1.75	1.12	1.25
20:30	711	ბუდეიოვიცე-ვიტკოვიცე	1.60	4.30	3.50	1.16	1.09	1.92
21:00	712	სპარტა-პლზენი	1.45	4.50	4.00	1.09	1.06	2.11
21:00	713	კარლოვი ვარი-ზლინი	2.05	4.10	2.30	1.36	1.08	1.47
21:30	714	ლიბერეცი-პარდუბიცე	1.80	4.20	2.80	1.25	1.09	1.67
22:00	715	სლავია-ზნოიმო	1.60	4.30	3.70	1.16	1.11	1.98
		ჰოკეი. სლოვაკეთი						
		28 დეკემბერი						
20:00	723	ზვოლენი-კოშიცე	2.10	4.10	2.40	1.38	1.12	1.51
20:00	724	მიკულაში-პოპრადი	2.20	4.00	2.20	1.41	1.10	1.41
20:30	725	ტრენჩინი-ჟილინა	1.40	4.40	4.50	1.06	1.06	2.22
20:30	726	ნიტრა-სკალიცა	1.60	4.20	3.20	1.15	1.06	1.81
20:30	727	მარტინი-სლოვანი	2.40	4.00	2.05	1.50	1.10	1.35
		ჰოკეი. რუსეთი						
		27 დეკემბერი						
15:00	787	ავანგარდი-ნეფტეხიმიკი	1.20	4.50	4.80	1.00	1.00	2.32
15:00	788	ს.იულაევი-სიბირი	1.65	4.20	2.90	1.18	1.05	1.71
15:00	789	კრილია-სოვერსტალი	2.85	4.30	1.50	1.71	1.00	1.11
15:00	790	ამური-ასკ	2.55	4.30	1.85	1.60	1.07	1.29
15:00	792	ლადა-ნოვოკუზნეცკი	1.40	4.50	3.75	1.06	1.01	2.04

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10014	ჩარლტონი-ფულემი	2.80	2.00	3.25	1.16	1.50	1.23

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11014	ჩარლტონი-ფულემი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

		ნაკ.	მეტ.
12014	ჩარლტონი-ფულემი	1.55	2.10

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
13014	ჩარლტონი-ფულემი	1.70	1.90

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

14014	ჩარლტონი-ფულემი	1.80	2.00

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15014	ჩარლტონი-ფულემი	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირ დრო)

16014	ჩარლტონი-ფულემი	1.70	1.90

გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

17014	ჩარლტონი-ფულემი	1.85	1.95

მარკოიშვილის ადრიატიკული ვარსკვლავი

მანუჩარ მარკოიშვილი რომ კარიერის საუკეთესო სეზონს ატარებს, ეს ადრიატიკის ლიგის საოლსტარო გამოკითხვამაც დაადასტურა. ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების ჩემპიონატის ყველა ვარსკვლავის მატჩში პირველად ითამაშებს ქართველი — მანუჩარ მარკოიშვილი დასავლეთის ნაკრების ხუთეულში მოხვდა. გამოკითხვა ინტერნეტის საშუალებით მიმდინარეობდა და საქართველოს ნაკრების უკანახაზელმა დასავლელებში მეექვსე ადგილი დაიკავა, თუმც ხუთეულში რატომ მოხვდა, ამაზე თავად გვესაუბრება...

— გამოკითხვაში მეექვსე ადგილი დავიკავე, მაგრამ „ციბონას" ამერიკელმა ლეგიონერმა ენდი უორენმა უარი თქვა ოლ სტარში მონაწილეობაზე და შესაბამისად, მე ჩავჯექი ხუთეულში. ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, მთავარია, რომ ოლ სტარში ვითამაშებ.

— ელოდი, რომ აგირჩევდნენ?

— ვერ ვიტყვი, რომ დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ რაკი ამირჩიეს, ესე იგი, ვიმსახურებდი. ყველაფერი გულშემატკივრებმა გადაწყვიტეს და წინასწარ გადაჭრით რამის თქმა ძნელი იყო. საბოლოოდ, რომ ამირჩიეს, ძალიან გახარებული ვარ.

— ესე იგი, გამოკითხვის შედეგებს ეთანხმები...

— რაც ხალხმა გადაწყვიტა, იმის გასაჩივრების უფლება არავის აქვს. მე ჩემი თავისგან ყოველთვის მაქსიმუმს მოვითხოვ და ვფიქრობ, რომ უკეთაც შემიძლია თამაში, მაგრამ გულშემატკივრისთვის ჩემი მზადყოფნა დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

— ეს სეზონი პირადად შენთვის როგორია?

— ამ სეზონში ჯერ ნახევარზე მეტი კიდევ სათამაშოა, და საბოლოოდ როგორი იქნება, ვერ ვიტყვი. ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურად მიდის და ვთვლი, რომ კარიერის საუკეთესო სეზონს ვატარებ.

— ოლ სტარში „ოლიმპიადან" კიდევ ვინ მოხვდა?

— ტეემუ რანიკო და მარკო მილიჩი, რომლებიც ასევე ხუთეულში ითამაშებენ.

— „ოლიმპია" ლიდერთა შორის არაა და მისი სამი მოთამაშის ხუთეულში მოხვედრა ცოტა უცნაური ხომ არ არის?

— შესაძლოა, ასეც იყოს, მაგრამ ინდივიდუალურად მილიჩს და რანიკოს ბევრიც ვერავინ ჯობს ადრიატიკის ლიგის დასავლეთში.

— ოლ სტარის გუნდები მართლაც გეოგრაფიული პრინციპით გაიყო?

— სლოვენიისა და ხორვატიის გუნდებიდან არჩეულებმა დასავლეთის ნაკრები შეადგინეს, ხოლო აღმოსავლეთში სერბეთის, ჩერნოგორიისა და ბოსნიის კლუბთა წარმომადგენლები ითამაშებენ.

— ოლიმპიას" ფინანსური პრობლემები რომ ჰქონდა, მოაგვარა?

— ჯერჯერობით არაფერი გარკვეულა, ახალ სპონსორს ველოდებით. კი შეგვიძლია, რომ გუნდი მივატოვოთ, მაგრამ ყველა რომ ასე მოიქცეს, „ოლიმპიას" ლიცენზიას ჩამოართმევენ და მერე ვეღარსად ითამაშებს. თანაც შუა სეზონია და სად გინდა, რომ წახვიდე. ჩვენც ველოდებით და იმედია, ხალი წლის შემდეგ მაინცმივიღებთ კუთვნილ ხელფასს.

— შედეგებსაც ალბათ ვერავინ მოგთხოვთ...

— ვერ მოგვთხოვენ, მაგრამ ამის გამო ძალით ხომ არ წავაგებთ. „ოლიმპია" ყველა ფრონტზე ბოლომდე იბრძვის და თუ წარმატებას ვერ მივაღწევთ, ეს ობიექტური მიზეზებით იქნება გამოწვეული.

— ოლ სტარში სათამაშოდ მზად ხარ?

— რა თქმა უნდა, მთელი გულით ვემზადები და რა გამოშივა, ხვალ საღამოს გამოჩნდება.

ირაკლი პერტაია

NBA რეგულარული ჩემპიონატი

რაილი ვეიდს ჩაუღრმავდა



დუეინ ვეიდმა მთელი „ლეიკერსი" გააბრუა

25 დეკემბერი

მაიამი 101:85 ლეიკერსი

მაიამი: ვეიდი (40 ქულა, 11 პასი, 4 მოხსნა, 4 ჩაჭრა, 4 დაფარება)

ლეიკერსი: ბრაიანტი (16), ტურიაფი (13)

მესამე სეზონია, შაკილ ონილი „ლეიკერსში" აღარ თამაშობს, მაგრამ მისი ძველი და ახალი გუნდების რკენა მაინც გვარიან სანახაობად ითვლება. ამ რეგულარული ჩემპიონატის კალენდრის შემდგენლებმაც საშობაოდ სწორედ „მაიამი" — „ლეიკერსის" შეხვედრა შეარჩიეს და კალათბურთის გურმანებს ამ ერთი მატჩით ყელის ჩაკოკლოზინების ბედნიერება აჩუქეს. მაგრამ სეზონი ჯერ ხეირიანად დაწყებულიც არ იყო, რომ დევშაკი საერთოდ ამოვარდა საშობაო პროგრამიდან, უკვე მეოთხე თამაშში მუხლის ტრავმა გაიმიზეზა და ოპერაციის შემდეგ საკალათბურთოდ ჯერაც ვერ მოკეთებულა.

უშაკილონილო თამაშში კი მთავარი სპორტული ინტრიგა ორი მძლავრი მექუსის, კობი ბრაიანტისა და დუეინ ვეიდის პირადული დუელის გარშემო უნდა აგორებულიყო, მაგრამ ნუგბარის მომლოდინეთ აქაც გაუცრუვდათ იმედი. მისგან ადრე არაერთგზის დაჩაგრულმა „მაიამის" თავკაცმა პატ რაილიმ ამჯერად აჯობა ლეიკერსელ კოლეგა ფილ ჯეკსონს და ბრაიანტი ბრძოლიდან გამოთიშა. რაილიმ კობის მეურვედ არა დუეინ ვეიდი მიუჩინა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ დორელ რაიტი, რომელსაც ხანდახან ვეტერანი გარი პეიტონი ენაცვლებოდა... პატ მასწავლებლის ჩანაფიქრი ასრულდა, „მაიამის" მეორე ეშელონის მოთამაშეებმა ბრაიანტი მთლიანად გამოთიშეს ბრძოლიდან, დაცვაში დატვირთვებისგან გათავისუფლებულმა ვეიდმა კი ფრთები გაშალა და მარტომ გამოაცოცხლა ინტერესშელახული საშობაო შოუ-მატჩი. უკვე პირველი მეოთხედის ბოლოს გამოიკვეთა თამაშის კონტურები — ვეიდს საწყის 12 წუთში 12 ქულა, 5 პასი და 3 დაფარება უჩხრიალებდა ყულაბაში, ბრაიანტს კი თამაშიდან ექვსივე ნასროლის აცილების შემდეგ ორადორი საჯარიმოებით მოპოვებული ქულა და ორიც დაკარგვა გამოუვიდა. ლიდერთა შედეგიანობა გუნდების მოსავლიანობაზეც აისახა — საწყის 12-წუთეულში „მაიამმ" 30:16 შემუსრა „ლეიკერსი" და მართალია, მეორე პერიოდში 7 ქულის გაბათილების შანსი უბოძა, მაგრამ მეორე ტაიმში კვლავ ალაგმა სტუმართა იერიშები.

ვეიდს საბოლოოდ 40 ქულა და ზედაც 11 პასი დაუგროვდა. ნამატჩევს ხალხმა — მოკეთეებმაც და მოწინააღმდეგეებმაც კიდევ ერთხელ ზემოთამაშედ შერაცხეს. პატ რაილიმ თქვა — ამ ბიჭში უღრმეს ნიჭს და პოტენციალს ვხედავო. ის თავისი გუნდის ლიდერზე ასეთ რამეს პირველად ნამდვილად არ ამბობს. ამ ივლისს ვეიდმა ხომ ლამის მარტომ მოიგო პლეი ოფის ფინალი და „მაიამი ჰითს" პირველი ჩემპიონობა მოუტანა.

კოტე ყორშია

აღმოსავლეთის კონფერენცია			
ატლანტიკა			
ტორონტო	12	16	42,9
ნიუ ჯერსი	11	16	40,7
ბოსტონი	10	15	40,0
ნიუ იორკი	12	18	40,0
ფილადელფია	7	19	26,9
ცენტრალური			
დეტროიტი	17	8	68,0
ჩიკაგო	16	11	59,3
კლივლენდი	15	11	57,7
ინდიანა	15	14	51,7
მილუოკი	13	14	48,1
სამხრეთ-აღმოსავლეთი			
ორლანდო	17	12	58,6
ვაშინგტონი	14	12	53,8
მაიამი	13	14	48,1
ატლანტა	9	17	34,6
შარლოტი	7	19	26,9

დასავლეთის კონფერენცია			
სამხრეთ-დასავლეთი			
სან ანტონიო	21	7	75,0
დალასი	20	7	74,1
ჰიუსტონი	16	11	59,3
ნიუ ორლეანი	11	15	42,3
მემფისი	6	22	21,4
ჩრდილო-დასავლეთი			
იუტა	20	8	71,4
დენვერი	14	10	58,3
მინესოტა	11	13	45,8
პორტლენდი	12	15	44,4
სიეტლი	11	17	39,3
წყნარი ოკეანე			
ფინიქსი	18	7	72,0
ლეიკერსი	18	10	64,3
გოლდენ სტეიტი	14	15	48,3
საკრამენტო	11	14	44,0
კლიპერსი	11	15	42,3

შეინც, კრის?!



ნბა-ს ერთ-ერთმა სახელიანმა და ავტორიტეტულმა გუნდმა „ფილადელფია სიქსერზმა", როგორც ჩანს, ძირეული რეკონსტრუქცია წამოიწყო. „სიქსერზის" გასახდელ ოთახში ერთ-ერთ კარადაზე ჯერაც არ წაუშლიათ „დენვერში" გაქცეული ალენ აივერსონის სახელი და გუნდი უკვე ახალ გაცვლებზე ფიქრობს. ნუ გაგიკვირდებათ და ისინი ამ სეზონში რაც შეიძლება, მეტი თამაშის წაგებაზე „იმუშავებენ". ნბა-ში ეს აპრობირებული სტრატეგიაა. გუნდები შეგნებულად ისუსტებენ თავს, რათა ცხრილის ფსკერზე დაამთავრონ სეზონი, შემდეგ კი დრაფტზე მაღალი არჩევანის უფლება და პოტენციური ვარსკვლავი მოიპოვონ.

„ფილადელფიის" სათავე ოფისიდან უკვე დაირხა ხმები, რომ აივერსონის ნაცვლად „დენვერიდან" მიღებული ანდრე მილერი ამ გუნდში დიდხანს არ გაჩერდება, უფრო ზუსტად, კლუბის ხელმძღვანელები არ გააჩერებენ და სეზონის დამთავრებისთანავე გაუშვებენ, ხოლო კიდევ ერთი წამყვანი კალათბურთელი კრის ვებერი იქნებ ერთ-ორ კვირაშიც კი გაცვალონ.

ვეტერანი ვებერი უცხო სხეულივითაა ახალგაზრდა თანაგუნდელებში, გასახდელში ხშირად მოსდის კონფლიქტი ხან ვისთან და ხან ვისთან და თავადაც ერთი სული აქვს, როდის მოშორდება იქაურობას. დიდი შანსია, ბებერმა ვებერმა გაცვლას არ დაუცადოს და თავადვე გამოისყიდოს საკუთარი კონტრაქტი, რის შემდეგაც ოთხივ მხრივ გაეხსნება გზა და რომელიმე ძლიერ გუნდს მიზერულ ხელფასად, მაგრამ ჩემპიონად გახდომის იმედით მიეკედლება.

კოტე ყორშია

მერაბ ანთაძის მიერ გადაცემული ოქროს მედლები ჩემპიონებმა ჩამოირიგეს

რაგბის კავშირმა ადგილები და ლარები დაუკავშირა

წლის ბოლოს საამსეზონო წიწილები საქართველოს რაგბის კავშირმაც დაითვალა და წლეულს შინ და გარეთ თავგამოჩენილები საახლაწლოდ დაასაჩუქრა.

აქცია „სპორტ-კაფეში" ჩატარდა და შინაურ-ლეგიონერებიანად ლამის მთელი ქართული რაგბის მილეთი შეიკრიბა.

თავიდან საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნები დასაჩუქრდნენ. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ პირველად მოხდა, შინაური ჩემპიონატის პრიზიორები რაგბის კავშირმა ჩვენთვის სოლიდური თანხით რომ დააჯილდოვა.

2000 წელს აქეთ ლამის უძლეველი და თასიან-ჩემპიონატიანად ათი ფინალის მომგები „ლოკომოტივი", რომელიც წლეულსაც შესწვდა „ბზის თასს", 5 ათასი ლარით დასაჩუქრდა. ჩვენი ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დებიუტანტს და ფინალისტს, თბილისის „დინამოს" 3 ათასი ლარი ერგო, ხოლო ბრინჯაოსან „ყოჩებს" — 2 ათასი. პრიზიორები საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტმა მერაბ ანთაძემ დაასაჩუქრა.

მერაბ ანთაძე: „წლევანდელი სეზონი განსაკუთრებული იყო, რადგან შინაური ჩემპიონატიც საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და ეროვნულმა ნაკრებმაც დიდ წარმატებას მიაღწია, ზედიზედ მეორედ გავიდა მსოფლიოს თასზე, რაც აქამდე სათამაშო სახეობების ვერც ერთმა ჩვენმა გუნდმა ვერ შეძლო. გულით ვულოცავ ჩვენს ბიჭებს ამ წარმატებას და ძალიან მალე ელიტაში დამკვიდრებას ვუსურვებ. რაც, ცხადია, ჩვენი დახმარებით უნდა გაკეთდეს."

საქართველოს ჩემპიონის თბილისის „ლოკომოტივის" ბერმუხა მწვრთნელმა და პატრონმა *თემურ ბენდიაშვილმა* კი ეს თქვა: „ჩემი აზრით, წლევანდელი ჩემპიონატი აშკარად სჯობდა შარშანდელს და ძალიან კარგი იქნება, თუ მომავალშიც ასე გაგრძელდება. პროგრესი აშკარაა, მთავარია, ტემპი არ დავაგდოთ და გაისად ხარისხი კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ."

როდესაც შინაურ ჩემპიონატში თავგამოჩენილთა დასაჩუქრება დასრულდა, ჯერი ნაკრებზე მიდგა. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც, სპორტის დეპარტამენტის აზრით, საქართველოს მორაგბეთა ნაკრები წლის გუნდად დაასახელდა და ეს აღიარება „ლელოებს" დეპარტამენტის შეფმა დავით ნამგალაურმა ერთხელაც მიულოცა „სპორტ-კაფეში". მართალია, ნამგალაური ფასიანი საჩუქრებით არ მისულა, მაგრამ ყველანაირ დახმარებას დაჰპირდა ბორჯღალოსნებს — ამიერიდან არაფერი მოგაკლდებათ — ასეთი იყო მისი ნათქვამის პათოსი.

ბოლოს კი, ვეტერანმა მორაგბემ და მოქანადკემ მამუკა ჯაფარიძემ ნაკრების წევრები 2007 წლის სარაგბო კალენდრებით დაავილდოვა.

ერთიც, უსაჩუქროდ არც რაგბის კავშირის პრეზიდენტი მერაბ ანთაძე დარჩენილა. ჩვენი რაგბის ოფისმა პრეზიდენტს პორტუგალიასთან მატჩის წინ ნაკრების და უფროსობის პატრიარქთან სტუმრობისას გადაღებული ფოტო და ბორჯღალიანი ჰალსტუხი აჩუქა.

გაჩო სვანიძე

გადრი კეთილაძის *ფოტოები*

2007 წლის სარაგბო კალენდრით დავით ნამგალაური და ნაკრების წევრები დასაჩუქრდნენ

„ლოკომოტივის" თოვლის პაპა თემურ ბენდიაშვილი

უსაჩუქროდ არც მერაბ ანთაძე დარჩენილა

ირაკლი აბუსერიძე ორლეანს შეეჩვია და ნამიბიას სწავლობს

წლეულს თუ ვინმეს ჰქონდა წარმატებული სეზონი, ერთ-ერთი პირველი საქართველოს მორაგბეთა ნაკრებია. ქართველმა „ლელოებმა“ ზედიზედ მეორედ მოიპოვეს მსოფლიოს თასის საგზური და ჩვენი სპორტის დეპარტამენტის მიერ წლის ნაკრებად დასახლედნენ. ჩვენი მორაგბეები სეზონს სუსხიან თებერვალში ევროპის ერთა თასით იწყებენ, მანამდე კი საახალწლო შვებულებას ზოგი თბილისში ატარებს და ჩვენც ერთ-ერთ უმთავრეს ბორჯღალოსან ირაკლი აბუსერიძეს გავესაუბრეთ. მასთან საუბარი კი განვლილი სეზონით დავიწყეთ...

ბადრი კეთილაძის ფოტო

— რა თქმა უნდა, ძალიან სასიამოვნოა, როდესაც თავდადებას და წარმატებას არ გიკარგავენ და გაღიარებენ. წლის საუკეთესო ნაკრების წოდება ალალად დავიმსახურეთ, ბოლოს და ბოლოს მსოფლიოს თასზე მეორედ გავედით.

— წინა მსოფლიოს თასზე თქვენგან მხოლოდ ერთი მატჩის მოგებას ითხოვდნენ, მაგრამ ურუგვაის დამარცხება ვერ შეძელით. ამჯერად ჯგუფში საფრანგეთთან, ირლანდიასთან, არგენტინასთან და ნამიბიასთან ერთად მოხვდით და მხოლოდ ნამიბიის დამარცხება შეგიძლიათ...

— ასეც არის. დანარჩენებს უნდა ვეომოთ და ღირსეულად ვეთამაშოთ. ისე, არც ნამიბიაა სუსტი. პირიქით, ვინც სამხრეთ აფრიკის ნაკრებში ვერ ხვდება, მოქალაქეობას იცვლის და ნამიბიის ნაკრებში თამაშობს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ვერ მოვუგებთ. უკვე გამოცდილებაც გვაქვს და დროა, მსოფლიოს თასზე პირველი გამარჯვება მოვიპოვოთ.

— თუ ვერ შეძელით?

— მაშინ ჩათვალეთ, რომ მსოფლიოს თასზე წარუმატებლად ვითამაშეთ, მაგრამ არა მგონია, ასე მოხდეს. როგორც ვიცი, მსოფლიოს თასამდე ჯერ საქართველოში, მერე კი საფრანგეთშიც გვექნება გრძელვადიანი შეკრებები.

— იმისათვის, რომ ნამიბიას მოუგოთ, ნაკრებმა კიდევ უნდა მოუმატოს?

— რა თქმა უნდა. თანაც ადრე შერკინებით რომ გავდიოდით ფონს, ახლა დროა, უკანა ხაზითაც შევუტიოთ. ეს უნდა მოხდეს დაბალანსირებულად.

— წინა მსოფლიოს თასის საგზური გაცილებით იოლად მოიპოვეთ, ვიდრე ახლა. ეს რისი ბრალია, თქვენ მოუკელით, თუ მეტოქეები გაძლიერდნენ?

— მეტოქეებმა მოუმატეს. თანაც ადრე სხვანაირი სისტემა იყო, შინ ვიღებდით უფრო სუსტ მეტოქეს — მოგების შემთხვევაში პირდაპირ გავდიოდით მსოფლიოს თასზე, ახლა კი შინ და გარეთ მოგვიწია თამაშმა და, ერთი შეხედვით, ისე გამოჩნდა, რომ ცოტათი გაგვიჭირდა, მაგრამ ეს ასე არ იყო. უბრალოდ, პორტუგალიასთან არასდროს გვქონია იოლი მატჩები, მაშინაც კი, როდესაც დიდი სხვაობით ვუგებდით. საპასუხო თამაშის წინ ვფიქრობდით, რომ ლისაბონში უფრო დიდი სხვაობით დავამარცხებდით პორტუგალიას, მაგრამ მაგრად დაგვიდგნენ, თუმც ბევრიც ვერაფერი დაგვაკლეს. მართალია, მატჩი ფრედ დასრულდა, მაგრამ მეტოქეს მოგების მიზერული შანსიც არ ჰქონია.

— მსოფლიოს თასი საფრანგეთში გაიმართება. ნაკრების წევრთა უმეტესობა საფრანგეთში თამაშობთ. იქ თუ იყო გამოხმაურება?

— სხვისი არ ვიცი და ჩემი თანაკლუბელები, „ორლეანის“ მორაგბეები, ორი დღე მილოცავდნენ. მითხრეს, ჩვენ თქვენს მატჩებზე აუცილებლად მოვალთო და მეხუმრებოდნენ, ვარსკვლავი გახდები სულ ტელევიზორში იქნებიო. კლუბის უფროსობასაც გაუხარდა, მათთვის პრესტიჟულია რომ შემადგენლობაში მსოფლიოს თასზე ნათამაშევი მორაგბე ჰყავთ.

— „ორლეანში“ არის კიდევ მორაგბე, მსოფლიოს თასზე რომ უთამაშია?

— რუმინელი დორინ შირიაკი. მას ჩვენ წინააღმდეგაც უთამაშია ერთ თასზე. ახლა უკვე აღარ თამაშობს რუმინეთის ნაკრებში. სხვათა შორის, წინა მსოფლიოს თასზე რუმინეთმა სწორედ ნამიბიას მოუგო ერთი მატჩი და შირიაკმა კარგად იცის აფრიკელთა ავან-ჩავანი.

— „ორლეანში“ სულ რამდენი ლეგიონერი ხართ?

— ჩემი ჩათვლით ათნი ვართ. სამი რუმინელი, ორი გერმანელი, ორი ტონგელი, ერთი ავსტრალიური წარმოშობის იტალიელი და ერთიც ფიჯელი. სხვათა შორის, ძალიან მეგობრული გუნდია, განსაკუთრებით კი ლეგიონერები ვართ სულ ერთად.

— „ორლეანი“ ახლა ფედერალ 1-ში გამოდის. საფრანგეთის ჩემპიონატში ეს რანგით მესამე დივიზიონია. „ელიტ 2“-ში ანაცვლებას არ აპირებთ?

— ჩვენი დივიზიონიდან პლეი ოფში ოთხი გუნდი გადის. რანგით მეორე ელიტჯგუფში კი პლეი ოფის გამარჯვებული გადადის. ჩვენ ახლა მეოთხე საპლეიოფო ადგილზე ვართ, მაგრამ არა მგონია, წლეულსვე გადავიდეთ ელიტ 2-ში. ვფიქრობ, ერთი სეზონი კიდევ დაგვჭირდება, რადგან ახალშეკრული გუნდია, სეზონის წინ თხუთმეტი ახალი მორაგბე დაგვემატა. ისე, არც არის გამორიცხული, რომ გაისად ელიტაში ვითამაშოთ, რადგან ფედერალ-1 ალოგიკური და ყველაზე არაპროგნოზირებადი დივიზიონია — მაჩანჩალამ შეიძლება დივიზიონის პირველადგილოსანს მოუგოს.

— თუ ელიტ 2-ში ვერ ახვედით, კლუბში დარჩები?

— ვნახოთ, რა როგორ იქნება. კონტრაქტი გაისად ივნისში მიმთავრდება და მინდა, ხელშეკრულება გავაგრძელო. არც კლუბია წინააღმდეგი. მეც მირჩევნია, „ორლეანში“ დავრჩე, რადგან პერსპექტიული კლუბია, თანაც ფინანსების მხრივ, ერთ-ერთი ძლიერი გუნდია საფრანგეთში. მეც ადვილად შევეწყვე „ორლეანს“, სტაბილურად ვთამაშობ და გარემოს შეცვლა ნაღდად არ მინდა.

ბაჩო სვანიძე

AFP

მოტივირებული კაცი ფედერერს ყველაფერი უნდა

როჯერ ფედერერმა მოტივაცია დაკარგა, თამაში აღარ უნდა, ამდენი მოგებაც კი მოსაბეზრებელიაო — რას აღარ ამბობენ ჩოგბურთის სპეციალისტები, ოღონდ დაიჯერონ და ირწმუნონ, შვეიცარიელ გენიოსს ეგება მომავალ სეზონში მაინც ჰქონდეს მცირე ჩავარდნაო.

სულ ბოლოს ამაზე ბიორნ ბორგმა ილაპარაკა და მანაც „მხიარული როჯერის“ სავარუდო დაღმასვლის მთავარ არგუმენტად მოტივაციის ნაკლებობა დაასახელა.

ამის პასუხად კი ფედერერმა განაცხადა, რომ სრულყოფილებამდე ჯერ კიდევ ბევრი უკლია და საკუთარ თავზე სამუშაო კვლავაც ბლომად აქვს. შვეიცარიელმა იქვე დაამატა, რომ გასული სეზონის შედეგების გამეორებას შეეცდება. მეტიც, ალპელს კიდევ ერთი მიზანი, „როლან გაროსის“ მოგება ასასრულებელი ჰქონია და ამის მისაღწევად ყველაფერს იღონებს.

„საფრანგეთის ღია პირველობის მოგება მართლაც ფანტასტიკური იქნებოდა“ — თქვა „მხიარული როჯერმა“, რომელსაც ამ მიზნის მიღწევამდე წლეულს სულ ცოტა დააკლდა, მაგრამ ფინალში რაფაელ ნადალს ვერაფერი მოუხერხა.

შვეიცარიელს არც უიმბლდონი ავიწყდება და ლონდონის კორტებზე მორიგი ტრიუმფის მოწყობა კვლავ პრიორიტეტეთა სათავეში ყოფილა, ამას კი თურმე რეიტინგის სათავეში დარჩენა მოსდევს.

„უიმბლდონი ჩემთვის მაინც უმთავრესია. სწორედ იქ მოვიპოვე პირველი დიდი გამარჯვება და იქიდან დაიწყო ჩემი აღმასვლა, რის გამოც ამ ტურნირს ყოველთვის განსაკუთრებულად დავაფასებ“.

ეგ კი არა, დიადი ალპელი თურმე დევისის თასსაც უმიზნებს და არც პეკინის ოლიმპიადას ივიწყებს, სადაც ათენში განცდილი ფიასკოს გამოსწორებას შეეცდება;

„ნაკრებთან ერთად უნდა ვცადო დევისის თასისთვის ბრძოლა. პეკინისთვისაც ძალიან სერიოზულად მოვემზადები — ეს ის პრიზებია, ჯერ რომ ვერაფერი მოვუხერხე“.

ახლა ისევ დღევანდელობას დავუბრუნდეთ და ფედერერის წლევანდელ მიღწევებს გადავხედოთ — როჯერმა ხომ რეკორდული, 8 370 ქულა დააგროვა და 8 მილიონზე მეტი გამოიმუშავა. ამასთანავე შვეიცაირელი კიდევ ერთ, ჯიმი კონორსის მიღწევას, უკვე 2007 წლის დასაწყისში გაუუმჯობესებს, ამერიკელი 160 კვირა შეუწყვეტლივ ედგა რეიტინგს სათავეში. მოკლედ, „შეიძლება ითქვას, რომ ახლა საკუთარ სიზმარში ვცხოვრობ — ბავშვობის ოცნებები რეალობად ვაქციე. იმედი მაქვს, რომ მის შენარჩუნებას შეეძლებ. მოტივაცია არასოდეს ყოფილა პრობლემა და არა მგონია, მინიმუმ 3-4 წელიწადი ამდაგვარი რამ მემუქრებოდეს“ — ამ სიტყვებით ფედერერმა ალბაო ზემოთ ნათქვამ ყველანაირ სპეკულაციას ხაზი გადაუსვა და კიდევ ერთხელ დაარწმუნა თავისი გულშემატკივრები, რომ დამდეგ სეზონში კვლავაც ძველებური ჟინით იბრძოლებს.

ბახა ლომაშვილი



კრივის სამაყაროში არსებულმა ყველაზე პრესტიჟულმა ჟურნალმა The Ring-მა 2006 წლის საუკეთესო მოკრივეები დაასახელა — რომელიმე წონაში კი არა, არამედ საერთოდ დღევანდელ პროფესიულ კრივში. ამ ჟურნალს „კრივის ბიბლიასაც“ ეძახიან და ამიტომ მისი რეიტინგიც ყველასთვის გასათვალისწინებელი და მისაღებია

ფლოიდ მეივეზერი რინგის რჩეულია

საუკეთესო მოკრივედ ფლოიდ მეივეზერ-უმცროსი ზედიზედ მეორედ დასახელდა და არც არავის უკვირს — ამ კაცს პროფესიულ რინგზე ჯერ მარცხიც არ უგემია. ალბათ ყველას ახსოვს წლეულს მეივეზერის ჩხუბი ზაბ ჯუდასთან, რომელიც ხმაურიანი სკანდალითაც დამთავრდა, როცა რინგზე მოკრივეების მწვრთნელები აიჭრნენ და მათ გამართეს მუშტიკრივი. შედეგად ჯუდა დიკვალიფიკაციით „დააჯილდოვეს“, ფლოიდმა კი ქამარი შეინარჩუნა.

წლის მეორე ნახევარში მეივეზერმა უსასტიკესად სცემა არგენტინელი კარლოს ბალდომირი და უძლიერესი მუშტის მქნეველის რენომე კვლავაც აღიდგინა. ამის შემდეგ ფლოიდი სპორტიდან წასვლას გეგმავდა, მაგრამ ოსკარ დე ლა ჰოიასთან შეჭიდების საშუალება ხელიდან ვერ გაუშვა და ამიტომაც რინგის მიტოვება გადაიფიქრა — ეს სუპერჯახი კი მომავალი წლის 5 მაისს გაიმართება.

მეივეზერს პირველ მსუბუქ წონაში WBC-ს ვერსიით ჩემპიონი ფილიპინელი მენი პაკიაო მოჰყვება, რომელმაც მართლაც ძალიან გაიმყარა ავტორიტეტი. თუმც აზიელმა წლეულს სკანდალებით უფრო გაითქვა სახელი, რომელთაგან განსაკუთრებით პრომოუტერებთან არსებული სიტუაციაა გამოსაყოფი — „დამანგრეველს“ ორ კომპანიასთან ჰქონია კონტრაქტი და ახლა მათთან არკვევს ურთიერთობებს. მაგრამ ამის პარალელურად ფილიპინელმა ორჯერ დაიცვა ტიტული და სავარაუდოდ, მომავალ წელს მარკო ანტონიო ბარერასთან მოუწევს ბრძოლა.

მესამე ადგილზე საშუალოწონოსანი რობერტ „ვინკი“ რაიტია, რომელსაც რატომღაც მსაჯებიც წყალობენ და პრესაც ჯიუტად ცდილობს მისგან ვარსკვლავის შექმნას. რაიტს განსაკუთრებით ჯერმეინ ტეილორთან „გაუმართლა“ ან... მოკლედ, იმ ბრძოლის შედეგს დღესაც ბევრი ეჭვის თვალით უყურებს და მატჩ-რევანშიც ალბათ უეჭველად შედგება. თუმც ახლა The Ring გვერდს მაინც ვერ აუქცევდა რაიტს, რადგანაც იმ ბრძოლის შემდეგ ამ მოკრივემ WBC, WBA და WBO-ს ქამრები გააერთიანა.

ძახა ლოგაზვილი

საუკეთესო ათეული

1 ფლოიდ მეივეზერი (აშშ)	პირველი საშუალო
2 მენი პაკიაო (ფილიპინები)	პირველი მსუბუქი
3 რობერტ „ვინკი“ რაიტი (აშშ)	საშუალო
4 ჯერმეინ ტეილორი (აშშ)	საშუალო
5 ბერნარდ ჰოპკინსი (აშშ)	ქვემძიმე
6 მარკო ანტონიო ბარერა(მექსიკა)	პირველი მსუბუქი
7 რაფაელ მარკესი (მექსიკა)	ქვემსუბუქი
8 რიკი ჰატონი (ბრიტანეთი)	პირველი ქვესაშუალო
9 ხოსე ლუის კასტილიო (მექსიკა)	პირველი ქვესაშუალო
10 ჯო კალძაგე (უელსი)	მეორე საშუალო

კანადამ კლასენის კლასი აღიარა

ფრეიზერ-ანი ბიბლიოთეკა

კანადის წლის საუკეთესო სპორტსმენად ტურინის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი 1 500 მეტრზე ციგურებით სირბილში სინდი კლასენი იქნა დასახელებული. ამ ოქროს გარდა სინდიმ ტურინში კიდევ ორი ვერცხლის (1000 მეტრზე და გუნდურ რბოლაში) და ორი ბრინჯაოს (3000 და 5000 მეტრებზე) მედალი მოიპოვა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა კლასენი ტურინის თამაშების საუკეთესო სპორტსმენ ქალად დაასახელა.

კლასენმა კანადის რჩეულის წოდებისთვის ბრძოლაში აჯობა ბეისბოლისტ ჯასტინ მორნოს, კალათბურთელ სტივ ნეშსა და ჰოკეისტ ჯო ტორნტონს.

აზერბაიჯანში მოჭიდავე დააფასეს

აზერბაიჯანის სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ გამოაქვეყნა წლის 10 საუკეთესო სპორტსმენის სია, რომელსაც სათავეში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავე, 19 წლის როვშან ბაირამოვი უდგას. ბაირამოვმა ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს, ხოლო მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოიპოვა და ამას „ოქროს ლიგის“ ტურნირის ჩემპიონობა დაამატა.

საუკეთესო გერმანელი მისამღერ გრაისია

AFP

ტურინის ოლიმპიადის გმირი, ბიატლონისტი მიხაელ გრაისი დასახელდა 2006 წლის საუკეთესო სპორტსმენად გერმანიაშიც.

ტურინში გრაისმა თვით ლეგენდარული ნორვეგიელი ოლე ეინარ ბიორნდალენი დაჩაგრა და ერთბაშად სამი ოქროს მედალი მოიპოვა — 20 კილომეტრზე ინდივიდუალურ რბოლაში, 15 კილომეტრზე მასსტარტში და ესტაფეტაში. გრაისმა გერმანელ ჟურნალისტთა გამოკითხვაში 3126 ხმა მიიღო, რაც თითქმის ორჯერ მეტია მეორე ადგილზე გასული მიხაელ შუმახერის მონაგარზე — ფორმულა 1-ის შვიდგზის ჩემპიონმა 1645 ხმა მოაგროვა.

მესამე ადგილზე ბრემენის „ვერდერისა“ და გერმანიის ნაკრების ფორვარდი მიროსლავ კლოზე გავიდა.

ცუდ ნათარგმნში კგბ-ს ხელი გამოჩნდა

ჭადრაკი კვლავაც რჩება სპორტის ყველაზე სკანდალურ სახეობად. ეს კოსტიუმში გამოწკეპილი, თითქოსდა ინტელექტუალურ-ერუდირებული ხალხი საერთო ენას ვერ პოულობს და ერთმანეთს სხვადასხვა ბრალდებებს უყენებს.

ორი თვის წინ ელისტაში რუსმა ვლადიმირ კრამნიკმა ბულგარელ ვესელინ ტოპალოვს დაძაბულ ბრძოლაში მოუგო და მსოფლიოს ჩემპიონობაც მოიპოვა. ჯერ კიდევ მატჩის მსვლელობისას ტოპალოვმა კრამნიკი დაადანაშაულა, თამაშისას საეჭვოდ ხშირად გადიოდა ტუალეტში და იქ რაღაცეებს მაიმუნობდაო. მოკლედ, დიდი სკანდალი აგორდა და თამაში ჩაშლის პირამდეც მივიდა, თუმც საქმეში ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი ჩაერია და სკანდალი დროებით ჩაიფარცხა.

მას შემდეგ კი მოჭადრაკეთა მენეჯერები აბობოქრდნენ და ერთმანეთის ლანძღვას შეუდგნენ. ჯერ ტოპალოვმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ელისტაში მასზე ზეწოლა ხორციელდებოდა და კრამნიკს გამარჯვებაში კგბ დაეხმარა. რუსის მენეჯერმა კარსტენ ჰენზელმა კი ამ ბრალდებას ბოდვა უწოდა და ბულგარელებს ფიდეში უჩივლა.

„ეს უკვე მოთმინების ბოლო წვეთია და მათ ბრალდებას მეტს ვეღარ მოვისმენთ. ჩვენ ტოპალოვს ფიდეში ვუჩივლეთ და თუ გავიმარჯვეთ, სამი წლით ჭადრაკის თამაში აეკრძალება“ — განაცხადა ჰენზელმა.

„ჩვენ სოფიაში მატჩ-რევანში დავნიშნეთ და კრამნიკს ამ ხრიკებით თავის არიდება უნდა“- ეს კი ტოპალოვის მენეჯერ სილვიო დანაილოვის კომენტარია.

„კრემლი არასდროს არ ალიარებს, რომ რუსი შპიონი მოწაფლა, ასევე კრამნიკიც. როცა მას ამ დარღვევების შესახებ მოვუყევი, ვაიკვირვა და უარყო“ — დასძინა ტოპალოვმა. ილუმჟინოვის მრჩეველი ბერიკ ბალაბაევი იმედოვნებს, რომ მხარეები მშვიდობიანად მოილაპარაკებენ და ყველაფერი მალე მოგვარდება.

„ტოპალოვს კარგად ვიცნობ ღა მგონია, რომ ინტერვიუში ასეთი რამ არ უთქვამს. ალბად ჟურნალისტებმა მისი ნათქვამი არასწორად გადმოარგმნეს“ — განაცხადა ბალაბაევმა.

ლაზა გეგეჭკორი

ამგავ-ხაგარი

ლემიე-გრეცკი-ჰოუ

ESPN-მა ჩაატარა გამოკითხვა თემაზე, ნჰლ-ის ყველა დროის საუკეთესო შემტევ სამეულს რომელი ჰოკეისტებისგან დააკომპლექტებდითო გულშემატკივრების რჩეული მარიო ლემიე-უეინ გრეცკი-გორდი ჰოუს სამეული გამოდგა — მიუხედავად იმისა, რომ სამივენი ცენტრალური თავდასხმელები იყვნენ, ჰოკეის მოყვარულებმა მაინც ეს სამი ლეგენდა აირჩიეს.

საინტერესოა, რომ დღევანდელი ამომავალი ვარსკვალავების, სიდნი კროსბისა და ალექსანდერ ოვეჩკინის სამეული, რომლებთანაც მესამედ იარომირ იაგრი დასახელდა, 45-ე ადგილზე გავიდა.

სატერს თავის ტკივილი არ აკლია

„ნიუ იორკ რეინჯერსის“ გენერალურ მენეჯერ გლენ სატერს შარშან წამოწყებულმა რეფორმებმა საკმაოდ კარგი შედეგი მოიტანა — „ცხენოსანი პოლიციელები“ მილიონერთა კრებულიდან ნელ-ნელა ნორმალურ გუნდს დაემსგავსნენ. „რეინჯერსში“ თითო-ოროლა სუპერ-ვარსკვლავიღა დარჩა, სამაგიეროდ, შემადგენლობაში ადგილი მოიძებნა სისტემაში არსებული ახალგაზრდა ტალანტებისთვის. ისე ნჰლ-ში შემოღებული საგადასახადო ჭერის მნიშვნელოვნად შემცირების პირობებში სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო.

თუმც „მედისონ სქვერ გარდენის“ ბინადრებს ახლა საკმაოდ მძიმე პერიოდი უდგათ. გუნდმა ზედიზედ 5-ჯერ წააგო, რის გამოც სატერის წინაშე მთელი სიმწვავით დადგა კიდევ ერთი პრობლემა — გენერალურმა მენეჯერმა რამე უნდა მოუხერხოს ძვირადღირებულ ვეტერან მცველებს, რაც „რეინჯერებს“ გაძლიერების საშუალებას არ აძლევს. ასე განსაჯეთ, გუნდში 8 მაღალი დონის უკანახაზელია, რის გამოც ხშირად სანდის ოზოლინში და დარიუს კასპარაიტისი სკამზე რჩებიან — არადა, მათი საერთო ხელფასი თითქმის 7 მილიონია.

სწორედ ამიტომ თითქმის გადაწყვეტილია, რომ ამ გამოცდილი მცველებს ნიუ იორკის დატოვება მოუწევთ.

რაც შეეხება გაძლიერებას, ჯერჯერობით საუბარი მხოლოდ „სენტ ლუისში“ მოთამაშე მარტინ რუჩინსკიზეა, რომლის გადმოსვლასაც განსაკუთრებით „რეინჯერების“ ლიდერი იარომირ იაგრი მიესალმება. ამ ტრეიდის გაჩარხვის შემთხვევაში, ეს რუჩინსკის მეოთხედ მოსვლა იქნება ნიუიორკულ გუნდში.

მელოუნი ოტავაში?

გუნდის ბომბარდირისა და მთავარ გამთამაშებელ ჯეისონ სპეცას დამტრევამ „ოტავას“ გენერალური მენეჯერი ჯონ მუკლერი შეიძლება აიძულოს, ტრეიდი გააკეთოს — „სენატორები“ პიტსბურგელ რაიან მელოუნს უმიზნებენ.

მუკლერს ამ ჰოკეისტის კანადის დედაქალაქში წაყვანა ჯერ კიდევ შარშან უნდოდა, მაგრამ ტრავმა მიიღო და ამ თემაზე ლაპარაკი მაშინ შეჩერდა. თუმც ახლა თავიდან დაიწყეს მელოუნის „ოტავაში“ გადასვლით სპეკულირება — ამ ბიჭს ცენტრშიც შეუძლია თამაში და ფლანგზეც, რაც გუნდს აშკარად წაადგება.

წლეულს მელოუნის ანგარიშზე 16 მატჩში 10 ქულაა (5+5).

ან კანზას-სიტი, ან პორტლენდი

უკვე გამცნეთ, რომ „პიტსბურგ პინგვინზმა“ შეიძლება ადგილსამყოფელი შეიცვალოს, თუმც აქამდე არაფერი თქმულა იმის შესახებ, სად გადავლენ ანტარქტიდის ბინადრები. ბოლო ინფორმაციით, ამ მხრივ ყველაზე მეტი შანსი კანზას-სიტისა და პორტლენდს ჰქონიათ.

საუბარია იმაზეც, რომ ნჰლ-ის გუნდის დაბრუნება უნდა ვინიპეგსაც. თუმც ამერიკულ ქალაქებს უფრო მეტი შანსები უნდა ჰქონდეთ.

ლიჩმა ბევრი სამხრეთისკენ აიღო

სეზონის წინ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ უკვე ლეგენდად ქცეული და ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო შემტევი მცველი ბრაიან ლიჩი აქამდე უგუნდოდ იქნებოდა. მართალია, ამერიკელი 37 წლისაა, მაგრამ კრის ჩელიოსი აგერ 44 წლის ასაკშიც მშვენივრად ირჯება და წესით, არც ლიჩის შესაძლებლობებში უნდა ეპარებოდეს ვინმეს ეჭვი. მაგრამ ვეტერანის მთავარი პრობლემა მაინც ის იყო, რომ მას ვერ გადაეწყვიტა სად წასულიყო.

ჰოდა, ახლა ისეთი პირი უჩანს, რომ ლიჩი „ატლანტაში“ გადავა, რაც გუნდსაც ძალიან წაადგება შემტევი მცველების სერიოზული პრობლემა აქვს) და თვითონ ლიჩსაც — ისეთ გუნდში მოხვდება, რომელიც უეჭველად პლეი ოფში ითამაშებს.

ძალა ლომაშვილი

ტაიგერ ვუდსი ამერიკელ რედაქტორთა რჩეულია



აშშ-ს სპორტულ რედაქტორთა ვერსიით წლის საუკეთესო სპორტსმენი სახელგანთქმული მეგოლფე ტაიგერ ვუდსია. გამოკითხვაში, რომელიც საგენტო AP-მ მოაწყო, ვუდსმა 260 ქულა მოაგროვა, ამერიკული ფეხბურთის ვარსკლავი ლადეინიან ტომლინსონი კი მას 30 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილი წილად ხვდა მსოფლიო ჩოგბურთის შვეიცარიელ ლიდერ როჯერ ფედერერს (110 ქულა). მას კი საკალათბურთო „მაიამის“ მცველი დუეინ ვეიდი მოჰყვა.

სერბებს ლეგენდა მოუკვდათ

ბელგრადი ეთხოვება ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო წყალბურთელს, მირკო სანდიჩს, რომელიც 64 წლისა აღესრულა. მირკო სანდიჩმა იუგოსლავიის ნაკრების წევრებთან ერთად 1968 წელს მეხიკოს ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი მოიპოვა. ოთხი წლით ადრე ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი გახდა. ამას გარდა, ბელგრადის „პარტიზანის“ შემადგენლობაში ხუთჯერ დაეუფლა ევროპის ჩემპიონთა თასს. 1996-დან 1998 წლამდე მირკო სანდიჩი იუგოსლავიის წყალბურთელთა ფედერაციის პრეზიდენტი იყო.

ყაზახეთის ოლიმპიური ყაჩაღობა

2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების სამასპინძლოდ ბორჯომის მსგავსად ხელმოცარული ყაზახეთის ქალაქი ალმატი კვლავ ეცდება „თეთრი ოლიმპიადის“ მიღებას — ამჯერად 2018 წლისთვის. ამის თაობაზე XV აზიური სპორტული თამაშების ჩემპიონებისა და პრიზიორების მიღებისას განაცხადა ქალაქის მერმა იმანგალი ტასმაგამბეტოვმა.

„2011 წელს ალმატიში დაგეგმილი აზიის VII ზამთრის სპორტული თამაშები ჩვენი განაცხადი და დასტური იქნება იმისა, რომ ღირსეულად შეგვიძლია ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა“ — თქვა იმანგალი ტასმაგამბეტოვმა.

ორგზის ჩემპიონის საცხოო საქმე

ლილეჰამერის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ბიატლონში, კანადელი მირიამ ბედარი ამერიკის მერილენდის შტატის პოლიციამ... საკუთარი 12 წლის ქალიშვილს მოტაცებისთვის დააკავა. ბედარმა შვილი თავისი შვილის მამის — ჟაკ პაკეს დაუკითხავად წაიყვანა, რომელსაც ბავშვზე მზრუნველობა ეკისრებოდა.

ახლა 37 წლის დედა და ყოფილი სპორტსმენი მერილენდის სატუსაღაშია. ორგზის ოლიმპიური ტრიუმფატორი ამბობს, რომ იგი ამგვარად ცდილობდა პროტესტის გამოცხადებას უსამართლობის წინააღმდეგ, რადგან კანადის სასამართლოს ვერდიქტით ჩემპიონს დედის უფლება ჩამოართვეს.

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზ. სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური, ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები. ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა. 1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე. სპორტულ ტურნირთა განმარტებები. ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე, სპორტულ ორგანიზაციებზე, უფლიერეა სპორტულ კლუბებზე. უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა. რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი, 704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31),"სამშობლო" (ცაბეკის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12), "შერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (აღმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09, 877 488844

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ხაბარელი 50

ჩემპიონი ჩემპიონების გაზრდაშიც ჩემპიონია

ალალი და გულიანი სიტყვა ლექსად მოდის... ზურაბ ზვიადაურმა შოთა ხაბარელს მადლობა უძღვნა

ახლახან ევროპის საუკეთესო მწვრთნელად დასახელებულ შოთა ხაბარელს გუშინ 50 წელი შეუსრულდა. ოლიმპიურ ჩემპიონს, ოლიმპიური ჩემპიონის აღმზრდელსა და ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი გუნდის თავკაცს ნახევარსაუკუნოვანი იუბილე ქართულმა სპორტულმა სამყარომ მარჯანიშვილის თეატრში მიულოცა.

საზეიმო საღამოს ფონად 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადის ფინალის კადრები და შოთა ხაბარელის ფოტოარქივის სურათები გასდევდა. სპორტსმენთა მილოცვებს ქართული ესტრადის ვარსკვლავები სიმღერებით ალამაზებდნენ. ყველაზე ტიტულიანმა შეგირდმა ზურაბ ზვიადაურმა აღმზრდელს იუბილე სცენიდან ლექსით მიულოცა. მერე სპეციალურად ძიუდოსთვის შექმნილი ჰიმნიც აჟღერდა, რომელიც მომღერლებთან ერთად თავად ხაბარელმა და ზვიადაურმაც იმღერეს.

დიდ სპორტსმენს და მწვრთნელს საჩუქრებიც არ დაჰკლებია. ძიუდოს ფედერაციის ვიცეპრეზიდენტის, კახეთის გუბერნატორ გია ნაცვლიშვილის სიურპრიზი კი აშკარად გამორჩეული იყო. მან ხაბარელს საგარეჯოში ერთი ჰექტორი საქონახე მიწა გადასცა, ნაცვლიშვილისვე სიტყვებით რომ ვთქვათ, კახეთში შესატყუებლად. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისგან იუბილარი ოლიმპიური ორდენით დაჯილდოვდა. სპორტის, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კი საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკისა და სპორტის რაინდის წოდება მიანიჭა.

საჩუქრების გარეშე არც დამსწრენი დარჩენილან, მარჯანიშვილის თეატრში მისულთ სულ ახლახან დაბეჭდილი წიგნი „ოთხი სიხარული“ გადაეცათ. ავთანდილ გურასაშვილის ნაშრომი შოთა ხაბარელის სპორტულ და პირად ცხოვრებას ეძღვნება.

დაბოლოს, იუბილარის სამადლობელი:

— მადლობა ყველას გულთბილი სიტყვებისთვის. უბედნიერესი კაცი ვარ. ამ დარბაზშიც და მის გარეთაც ყოველ ნაბიჯზე საოცარ სითბოს ვგრძნობ. პომპეზურობას მიჩვეული არა ვარ და ცოტა უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი, მაგრამ ამ სიხარულისთვის ნამდვილად ღირს ცხოვრება. გპირდებით, ამ სითბოს ფონზე მთელ დარჩენილ ენერგიას მოვიკრებ და თქვენს გულებს კიდევ გავახარებ.

საზეიმო საღამოზე დამსწრენი შოთა ხაბარელმა რესტორან „ოლიმპში“ მიიპატიჟა, საკუთარი ხელით დაწურული ღვინის დასაგემოვნებლად.

ოთარ მაღლაკელიძე
გადრი კეთილაძის ფოტოები



ლერი ხაბელოვი, გიორგი გაბაშვილი, ჯანო და ლიზი ბაგრატიონები... ამაგდარ იუბილარს მიმლოცველი არ აკლდა

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ზვიადაურია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახალედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხოშერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge